OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

საქართველოს პენიტენციურ სისტემაში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკის კვლევა (2003-12 წწ.)

ანალიტიკური ანგარიში

INSTITUTE OF SOCIAL STUDIES AND ANALYSIS
Human Rights Center (HRC)
Public advocacy
PENAL REFORM INTERNATIONAL
GCRT The Georgian Center for Psychosocial and Medical Rehabilitation of Torture Victims

თბილისი 2014

ანგარიში გამოცემულია ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ წინამდებარე მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

კვლევაში მონაწილე ორგანიზაციები:

ადამიანის უფლებათა ცენტრი
ახალგაზრდები სამართლიანობისთვის
კონსტიტუციის 42-ე მუხლი
საზოგადოებრივი დამცველი
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი
ციხის საერთაშორისო რეფორმა
წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი

ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“ განსაკუთრებულ მადლობას უხდის კვლევაში მონაწილე საერთაშორისო ექსპერტებს - ბარონესა ვივიენ სტერნსა და პროფესორ ენდრიუ ქოილს, ადგილობრივ ორგანიზაციებს, ინდივიდუალურ ექსპერტებს, ინტერვიუერებს და რესპოდენტებს.

ფონდი ასევე მადლიერებას გამოხატავს საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიმართ, რომლებმაც ინტერვიუერებს მსჯავრდებულთა გამოკითხვის საშუალება მისცეს.

◎ შესავალი 4

◎ კვლევის შეზღუდვები 5

◎ შემაჯამებელი დასკვნა 6

◎ 1.კვლევის მეთოდოლოგია 16
- ◎ 1.1. კვლევის მიზანი და ამოცანები 16
- ◎ 1.2. რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა 16

◎ 2. პატიმრობის ისტორია 17

◎ 3. ჩადენილი დანაშაულის სუბიექტური შეფასება 21

◎ 4. პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში 28
- ◎ 4.1. პატიმართა წამებისა და არაადამინური მოპყრობის ფაქტების შესახებ ინფორმირებულობა; სხვადასხვა დაწესებულებებში პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ინტენსივობის შეფასება 28
- ◎ 4.2. რესპონდენტთა მონათხრობი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების საკუთარი გამოცდილების შესახებ 32
- ◎ 4.3 წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ინტენსივობა 42

◎ 5. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მიზანი 46

◎ 6. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგები 50
- ◎ 6.1. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ყველაზე მეტად გავრცელებული შედეგები 50
- ◎ 6.2. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ყველაზე ნაკლებად გავრცელებული შედეგები 58
- ◎ 6.3. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფოტო და ვიდეო დოკუმენტირება 67

◎ 7. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მეთოდები 70
- ◎ 7.1 წამების ფიზიკური მეთოდები 70
- ◎ 7.2. წამების ფსიქოლოგიური მეთოდები 76

◎ 8. პატიმრობის შედეგები და სამედიცინო დახმარება 80

◎ 9. ურთიერთობა უფლებადამცველ პირებთან ორგანიზაციებთან და საჯაროობა 89

◎ 10. პენიტენციურ სისტემაში ამჟამად არსებული მდგომარეობის შეფასება პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის თვალსაზრისით 95

წამების ამსახველმა ვიდეოჩანაწერებმა და ინფორმაციამ ციხის თანამშრომელთა მიერ პატიმრების მიმართ დამამცირებელი და ღირსების შემლახველი მოპრყობის თაობაზე გამოჟონა და ცნობილი გახდა ფართო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის საქართველოში. ეს მოხდა უშუალოდ 2012 წლის 1 ოქტომბრის წინ, ანუ მთავრობის ცვლილებამდე ცოტა ხნით ადრე. როგორც ამბობენ, სააკაშვილის მმართველობის ბოლო წლებში სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში წესრიგის დამყარებას საფუძვლად დაედო პატიმართა ღირსების შელახვა და ძალადობა და წინამდებარე კვლევის საგანს სწორედ იმის დადგენა წარმოადგენს, თუ როდის დაიწყო, რამდენად გავრცელებული იყო და რამდენად სისტემური და ხშირი ხასიათი ჰქონდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. ახალი მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კიდევ გამოვლინდა ვიდეომასალა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების საგანგებოდ შერჩეულ წევრებს უჩვენეს. სავარაუდოდ ასეთი ჩანაწერების რაოდენობა მიუთითებს, რომ წამება ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ჩვენი კვლევა ცდილობს აგრეთვე დაადგინოს, თუ რა მიზანს ემსახურებოდა წამების ფაქტების ფირზე აღბეჭდვა და პირველყოვლისა, რა გახდა მათი გადაღების მიზეზი.

2003-2013 წლებში საპატიმროებში არსებული ვითარების შესასწავლად, ამჟამინდელ და ყოფილ პატიმრებს ჩაუტარდათ რაოდენობრივი კვლევა გასაუბრების სახით, 2014 წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით. კვლევა მიზნად ისახავდა იმის დადგენას, თუ როგორი საცხოვრებელი პირობები ჰქონდათ პატიმრებს და როგორ ეპყრობოდნენ მათ პენიტენციალურ დაწესებულებებში დაწყებული 2003 წლიდან, და აგრეთვე, პატიმართა წამების და არაადამიანური მოპყრობის კონტექსტისა და მიზეზების შესწავლას.

გამოკითხვის მიზნით გასაუბრება ჩაუტარდა 1,199 ყოფილ და იმჟამად პატიმრობაში მყოფ პირს. უფრო ზუსტად, გამოკითხულთაგან 601 რესპოდენტი ყოფილი პატიმარი იყო, ხოლო 598 - იმჟამად პატიმრობაში მყოფი პირი (აქედან 21 წინასწარ პატირმობაში მყოფი პირი). გამოკითხვა შემთხვევითი შერჩევის პრინციპს დაეყრდნო. შერჩევის საფუძველი გამოკითხვის საწყის ეტაპზე შემუშავდა. ყოფილი პატიმრებისთვის შემუშავებული გამოკითხვის საფუძველი გულის ხმობდა პატიმრობიდან უკვე განთავისუფლებული პირების გეოგრაფიული გავრცელების განსაზღვრას. კვლევის გუნდის სახელით პრობაციის სააგენტოებმა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე მოიძიეს და დაუკავშირდნენ ყოფილ პატიმრებს, რომელთაც სთხოვეს თანხმობის შემთხვევაში მონაწილეობა მიეღოთ გამოკითხვაში. შემდეგ მკვლევართა გუნდი დაუკავშირდა იმ პატიმრებს, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს მონაწილეობაზე. რაც შეეხება იმჟამად პატიმრობაში მყოფ პირებს, შერჩევის ამავე პრინციპით შედგა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში იმ დროს საქართველოში არსებული ყველა პატიმრის სია. გამოკითხვა განხორციელდა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ პენიტენციალურ დაწესებულებებში, არასრულწლოვანთა დაკავების ადგილების გარდა. კვლევის ინსტრუმენტი იყო კითხვარი, რომელიც ფორმალიზებულ კითხვებს შეიცავდა. კითხვარი ერთობლივად შეადგინეს სოციალური კვლევის და ანალიზის ინსტიტუტმა, ადამიანის უფლებებზე, სასამართლო სისტემაზე, სასჯელაღსრულების, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საკითხებზე მუშაობის მდიდარი გამოცდილების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებმა[1] და საერთაშორისო ექსპერტებმა - ბარონესა ვივიენ სტერნმა და პროფესორმა ენდრიუ ქოილმა. კვლევის თემისა და მისი მიზნების განსაკუთრებით მგრძნობიარე და რთული ხასიათის გამო გადაწყდა, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმართა გამოკითხვას წარმართავდნენ შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთაც საქართველოს საპატიმროს გარემოში

1 მონაწილე ორგანიზაციებში შედიოდნენ: "კონსტიტუციის 42-ე მუხლი", "წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი", "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", "ადამიანის უფლებათა ცენტრი", "საზოგადოებრივი დამცველი", "ციხის საერთაშორისო რეფორმა", "ახალგაზრდები სამართლიანობისთვის", და ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო".

მუშაობის და პატიმართა გამოკითხვის დიდი გამოცდილება ჰქონდათ.

ამ გამოკითხვის მონაცემები ნაწილობრივ ჰფენენ შუქს ბოლო ათწლეულის განმავლობაში სასჯელაღსრულების სისტემაში წამების გავრცელებას, მასშტაბებს და სიხშირეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ერთმნიშვნელოვნად განვაცხადოთ, რომ ეს მონაცემები მთლიანად მიუკერძოებელ სურათს იძლევა,შემთხვევითი შერჩევა და ნებაყოფლობითი მონაწილეობა შესაძლებლობას გვაძლევს უკეთ გავიაზროთ პატიმრების შეხედულება წამების შესახებ საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში.

კვლევის შეზღუდვები

ვენ მიერ შერჩეული კვლევის მიდგომას გააჩნდა რამდენიმე შეზღუდვა. პირველ ყოვლისა, იმ დროისთვის შეუძლებელი გახდა ციხის თანამშრომლების გამოკითხვა. საქმე იმან გაართულა, რომ გაქცირდა რესპონდენტთა ვინაობის დადგენა. წამებასთან დაკავშირებული სკანდალის შემდეგ თანამშრომლების დიდი ნაწილი სამსახურიდან დაითხოვეს. ამას გარდა, დადგა დროის, რესურსების და დასმული შეკითხვების საკითხი: ჩვენ უფრო მეტად გვაინტერესებდა თუ რამდენად ფართოდ იყო გავრცელებული წამება და რა ფორმა ჰქონდა მას; ხოლო თანამშრომლების გარეშე მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლებოდა პასუხის მიღება კითხვაზე, თუ რატომ იყენებდნენ წამებას. მიუხედავად ამისა, ჩვენი კვლევა წარმოგიდგენთ იმას, რაც პატიმრებმა (როგორც ამჟამინდელმა, ისე ყოფილმა) აღიქვეს მათ მიმართ არაადამიანური მოპყრობის მიზეზად, რაც ჩვენი აზრით, მეტად ფასეულია თავისთავადაც და საიმისოდაც, რომ გასაგები გახდეს რატომ იყენებდნენ წამებას.

კიდევ ერთი დაბრკოლება, რასაც ხაზი უნდა გაესვას, გახლავთ ის, რომ იმ დროს, როცა პატიმრებს კითხვებს უსვამდნენ წამების და/ან არაადამიანური მოპყრობის თაობაზე, რესპონდენტებს არ ჰქონდათ გაცნობიერებული წამების და არაადამიანური მოპყრობის სამართლებრივი დეფინიცია, რის გამოც მათი პასუხები შესაძლოა ისეთი შეურაცხყოფის ფორმებსაც შეიცავდა, რომლებიც წამებად არ განისაზღვრება. ამას გარდა, მკვლევართა ჯგუფმა კითხვარში შეტანილი არაადამიანური მოპყრობის ნუსხაში შეიტანა ისეთი უფლებების დარღვევაც, როგორიცაა არაადეკვატური სამედიცინო დახმარება და ცუდი საცხოვრებელი პირობები. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ შესაძლოა ეს ყოველთვის წამებად არ აღიქმევა, მაგრამ ადამიანური უფლებების მძიმე დარღვევების შესწავლის პროცესში ჩვენთვის საინტერესო იყო ასეთი მოვლენების გავრცელების ფარგლებიც.

ყოფილი და იმჟამად პატიმრობაში მყოფი პირების განსხვავებული პასუხები წამების ფაქტების სიხშირესთან დაკავშირებით, შეიძლება იმით აიხსნას, რომ იმჟამინდელი პატიმრები იმავე გარემოში განაგრძობდნენ ცხოვრებას, სადაც წამების ფაქტები დაფიქსირდა, მაშინ, როცა ყოფილი პატიმრებისთვის ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ერთი მხრივ, ამჟამინდელ პატიმრებში შეიმჩნევა მიდრეკილება გაზვიადებისკენ, მეორე მხრივ კი, ყოფილ პატიმრებს ურჩევნიათ დავიწყებას მისცენ ციხეში გატარებული ცხოვრება. მიუხედავად სხვაობისა პასუხებში წამების სიხშირის და იმ ადგილების შეფასებისას, სადაც წამება მოხდა, როცა საქმე ფაქტობრივ მონაცემებს და წამების პირად გამოცდილებას ეხება, ამ ორი ჯგუფის პასუხებში დიდი მსგავსება შეინიშნება.

2014 წლის პირველ კვარტალში „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა“, ფონდ ‘ღია საზოგადოება - საქართველოს“ დაკვეთით, ჩაატარა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში წამებისა და არადაამიანური მოპყრობის პრაქტიკის (2003-12 წწ.) ფართომასშტაბიანი რაოდენობრივი კვლევა. კვლევის მიზანი იყო 2003 წლიდან დღემდე სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმართა ცხოვრების პირობებისა და მათ მიმართ მოპყრობის პრაქტიკების გამოვლენა; ასევე – პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მიზნისა და კონტექსტის შესწავლა.

გამოკითხნენ როგორც ყოფილი, ისე ამჟამინდელი პატიმრები; სულ შერჩევის მოცულობამ შეადგინა 1199 რესპონდენტი (მათ შორის ამჟამინდელი პატიმარია 598, ხოლო ყოფილი პატიმარი - 601).

გამოკითხვა ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით, რესპონდენტთა ანონიმურობის დაცვით. რესპონდენტები შეირჩნენ შემთხვევითი შერჩევის პრინციპის მიხედვით.

ქვემოთ გადმოცემულია კვლევის ძირითადი მიგნებები.

ჩადენილი დანაშაულის/ქმედების სუბიექტური შეფასება

რესპონდენტებს სთხოვდნენ, დაესახელებინათ ის ქმედება/დანაშაული, რომელიც მათი აზრით ჩაიდინეს და არა იმ მუხლ(ებ)ის შესაბამისი დანაშაული, რომლითაც გასამართლდენ (იგულისხმება ბოლო ნასამართლეობა). რესპონდენტთა მიერ დანაშაულის სუბიექტური შეფასებისას იკვეთება, რომ გამოკითხულთა 27% ბოლო ნასამართლეობის შემთხვევაში თავს უდანაშულოდ მიიჩნევს.

ყოფილ პატიმრებს შორის, ამჟამინდელ პატიმრებთან შედარებით, მაღალია იმ ადამიანების ხვედრითი წილი, რომლებიც ბოლო ნასამართლეობის შემთხვევაში თავს უდანაშაულოდ მიიჩნევენ. ყოფილ პატიმრებს შორის 29.6% და ამჟამინდელი პატიმრების 23.4% აცხადებს, რომ ბოლო ნასამართლეობის შემთხვევაში დანაშაული არ ჩაუდენია.

ჩადენილი დანაშაულების სუბიექტური შეფასებებიდან იკვეთება, რომ ყოფილ პატიმრებს შორის დანაშაულის შემდეგი სამი ტიპია დომინანტური:

1. წამალდამოკიდებულება (მოხმარება) და შენახვა/რეალიზაცია;
2. ქურდობა;
3. ფინანსური დანაშაული (კორუფცია, გადასახადების დამალვა და ა.შ.).

ყოფილ პატიმართა 18% ბოლო ნასამართლეობის შემთხვევაში ჩადენილ დანაშაულად წამალდამოკიდებულებას (მოხმარებას) და შენახვა ასახელებს. 12% - ქურდობას, ხოლო 9%- ფინანსურ დანაშაულს (კორუფცია, გადასახადების დამალვა და ა.შ.)

ამჟამინდელ პატიმართა შორის, მათივე სუბიექტური შეფასებით, დანაშაულის შემდეგი ოთხი ტიპია დომინანტური:

1. ქურდობა;
2. მკვლელობა;
3. წამალდამოკიდებულება (მოხმარება) და შენახვა/რეალიზაცია;
4. ძარცვა/ყაჩაღობა.

ამჟამინდელ პატიმართა 15% ბოლო ნასამართლეობის შემთხვევაში ჩადენილ დანაშაულად ქურდობას ასახელებს, 15% - მკვლელობას, 13% - წამალდამოკიდებულებას (მოხმარებას) და შენახვას, 13% - ყაჩაღობას.

დანაშაულის ოფიციალური კვალიფიკაცია (მუხლების მიხედვით), გავრცელებულ დანაშაულებთან მიმართებაში, თანხვდება სუბიექტურ შეფასებას, რამდენადაც როგორც ამჟამინდელ, ისე ყოფილ პატიმრებში იკვეთება შემდეგი დევიაციები:

- წამალდამოკიდებულება (მოხმარება) და შენახვა/რეალიზაცია (მუხლი 260)
- ქურდობა (მუხლი 177)
- ყაჩაღობა (მუხლი 179)

თუმცა, არსებობს მნიშვნელოვანი განსვლაც სუბიექტურ შეფასებასა და ობიექტურ კვალიფიკაციას შორის სხვადასხვა დანაშაულთან მიმართებაში: ბოლო ნასამართლეობისას ჩადენილი დანაშაულის სუბიექტური შეფასებისა და ნასამართლეობის მუხლების ურთიერთმიმართებისას იკვეთება, რომ 315-ე ან 143-ე მუხლით გასამართლებული ადამიანები შემთხვევათა უმრავლესობაში (შესაბამისად, 62.5% და 53%) თავს უდანაშაულოებად მიიჩნევენ; აგრეთვე, 353-ე მუხლით გასამართლებული ადამიანები შემთხვევათა 40%-ში მიიჩნევენ, რომ უდანაშაულოები იყვნენ. განმარტებისთვის: 315-ე მუხლი გულისხმობს, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობის გზით შეცვლას (შეთქმულება ან ამბოხება), 143 მუხლი - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით უზრუნველყოფას, ხოლო 353-ე - პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე, აგრეთვე, საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმას.

გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ 260-ე მუხლით (წამალდამოკიდებულება და შენახვა/რეალიზაცია) გასამართლებულ რესპონდენტთაგან თითქმის ყოველი მეოთხე (24%) აცხადებს, რომ დანაშაული საერთოდ არ ჩაუდენია.

პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ ინფორმირებულობა და სხვადასხვა დაწესებულებებში პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ინტენსივობის შეფასება

გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლესობა (74%) აცხადებს, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ დანამდვილებით იცოდნენ მანამ, სანამ ისინი გამჟღავნდებოდა. ამჟამინდელი პატიმრების 83% და ყოფილი პატიმრების 65% ამბობს, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის

ფაქტების შესახებ დანამდვილებით იცოდნენ (მათ გამჟღავნებამდე). ყოფილ პატიმრებს შორის, ამჟამინდელ პატიმრებთან შედარებით, მაღალია იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ აღნიშნული ფაქტების შესახებ არაერთხელ ჰქონდათ გაგებული, თუმცა დადასტურება არ შეეძლოთ (20%), ამჟამინდელი პატიმრების 10% აცხადებს ამავეს.

იკვეთება, რომ პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები არ წარმოადგენდა საპატიმროების ექსკ-ლუზიურ პრაქტიკას, არამედ გავრცელებული იყო სხვადასხვა დაწესებულებებშიც, როგორებიცაა: პოლიციის იზოლატორები, პოლიციის სამმართველოები/განყოფილებები და უშიშროების იზოლატორი (კერძოდ, ე.წ. „მოდულის" შენობა).

ყოფილი და ამჟამინდელი პატიმრები განსხვავებულად ახასიათებენ სხვადასხვა დაწესებულებებში პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გავრცელების ინტენსივობას. ამჟამინდელი პატიმრები, ყოფილ პატიმრებთან შედარებით, უფრო მეტად აღნიშნავენ, რომ სხვადასხვა დაწესებულებებში პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სისტემატურად (ყოველდღიურად) იყო გავრცელებული. ყოფილ პატიმრებს შორის ყოველი მეორე გამოკითხული (51%) აღნიშნავს, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სისტემატურად (ყოველდღიურად) ხდებოდა, ხოლო ამჟამინდელ პატიმრების 76% აღნიშნავს, რომ საპატიმროებში ყოველდღიურად აწამებდნენ ადამიანებს.

რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობის, 64%–ის მონათხრობით, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სისტემატურად (ყოველდღიურად) იყო გავრცელებული სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში. რაც შეეხება პოლიციის იზოლატორებსა და სამმართველოებს/განყოფილებებს, ყოველი მეოთხე რესპონდენტი ამბობს, რომ აღნიშნულ დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სისტემატურად (ყოველდღიურად) ხდებოდა.

გამოკითხულთა მხოლოდ 1.5% ამბობს, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები გავრცელებული არ იყო. პოლიციის იზოლატორების, სამმართველოების/განყოფილებებისა და უშიშროების იზოლატორის (ე.წ. „მოდულის") შემთხვევაში რესპონდენტთა 13–14% ამბობს, რომ აღნიშნულ დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები გავრცელებული არ იყო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციის იზოლატორებში, სამმართველოებში/განყოფილებებსა და უშიშროების იზოლატორში წამების და არაადამიანური ფაქტების ინტენსივობის შეფასებისას, მაღალია იმ ადამიანთა ხვედრითი წილი (მერყეობს 31-61%-ის ფარგლებში),რომ-ლებიც აცხადებენ, რომ აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირთ.

რესპონდენტთა მონათხრობი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების საკუთარი გამოცდილების შესახებ
რესპონდენტთა უმრავლესობა (50-85%-ის ფარგლებში) აცხადებს, რომ მათ შეემთხვათ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემდეგი ფაქტები:

- ფიზიკური წამება;
- ფსიქოლოგიური წამება;
- ესწრებოდა მეგობრის წამებას (იგულისხმება თანამესაკნე მეგობარიც);

- ესწრებოდა სხვა პატიმრის წამებას;
- ესმოდა წამების ხმები;
- არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობა;
- არაადეკვატური სამედიცინო მომსახურება;
- არაადამიანური, ღირსების შემლახავი პატიმრობის პირობები.

გამოკითხულთა სამი მეოთხედი (75.4%) ამბობს, რომ მათ ფიზიკურად აწამებდნენ; ხოლო რესპონდენტთა 84.2% აღნიშნავს, რომ მათ ფსიქოლოგიურად აწამებდნენ.

ამჟამინდელ და ყოფილ პატიმრებს შორის დაახლოებით თანაბარია (შესაბამისად, 82.6% და 86%-მდე) იმ ადამიანთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ ფსიქოლოგიურად აწამებდნენ. ასევე, ორივე ჯგუფში მსგავსი ტენდენცია არსებობს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ისეთ გავრცელებულ ფაქტებთან მიმართებაში, როგორიცაა: სხვების წამების ხმების გაგება, არაადეკვატური სამედიცინო მომსახურება და არაადამიანური, ღირსების შემლახავი პატიმრობის პირობები.

ამჟამინდელ და ყოფილ პატიმართა მონათხრობები ფიზიკურ წამებასა და არაადამიანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობასთან მიმართებაში ერთმანეთისგან განსხვავდება: ამჟამინდელი პატიმრების 84.4% და ყოფილი პატიმრების 66.4% აცხადებს, რომ მათ ფიზიკურად აწამებდნენ; ხოლო, ამჟამინდელი პატიმრების 74.6% და ყოფილი პატიმრების 63%-მდე ამბობს, რომ ადგილი ჰქონდა არაადამიანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობას.

რესპონდენტების მონათხრობიდან იკვეთება, რომ ფიზიკური და ფსიქოლოგიური წამების ფაქტები არ წარმოადგენდა ერთი რომელიმე კონკრეტული სასჯელაღსრულებითი ან სხვა დაწესებულების პრაქტიკის ნაწილს, არამედ გავრცელებული იყო საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებსა თუ სტრუქტურებსა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური წამების შემთხვევათა 55% და ფსიქოლოგიური წამების შემთხვევათა 54% გლდანის სასჯელაღრულებით დაწესებულებას უკავშირდება. რესპონდენტებმა გამოყვეს სხვა დაწესებულებებიც, სადაც ფიზიკური და ფსიქოლოგიური წამების ფაქტები მეტ-ნაკლებად იყო გავრცელებული: ორთაჭალის ციხე, გეგუთის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება, ქსნის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება, რუსთავის კოლონიები და ბათუმის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება.

ჩანს, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმართა წამებას ძირითადად ციხის დირექციის მაღალი რანგის თანამშრომლები და ციხის რიგითი თანამშრომლები ახორციელებდნენ.

რესპონდენტთა მონათხრობი მათ მიმართ განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ინტენსივობის შესახებ

იმ რესპონდენტებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ესა თუ ის ფაქტი შეემთხვათ, ეკითხებოდნენ, რამდენჯერ შეემთხვათ მათ მიერ დასახელებული ფაქტები.
ყოფილი და ამჟამინდელი პატიმრები განსხვავებულად ახასიათებენ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში

გავრცელებულ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ინტენსივობას. ამჟამინდელი პატიმრები, ყოფილ პატიმრებთან შედარებით, უფრო მეტად აღნიშნავენ, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სისტემატურად (ყოველდღიურად) ხდებოდა:

- იმ რესპონდენტთა 39%, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ წამებას, აღნიშნავს, რომ მათ ფიზიკურად თითქმის ყოველდღე აწამებდნენ. ამჟამინდელი პატიმრების 54% და ყოფილი პატიმრების 24% აცხადებს, რომ მათ თითქმის ყოველდღე აწამებდნენ ფიზიკურად. გამოკითხულთა 15% აღნიშნავს, რომ მათ ფიზიკურად კვირაში ერთხელ მაინც აწამებდნენ. აქაც განსხვავებაა ამჟამინდელ და ყოფილ პატიმრებს შორის: ამჟამინდელი პატიმრების 13% და ყოფილი პატიმრების 18% აღნიშნავს, რომ მათ აწამებდნენ ფიზიკურად კვირაში ერთხელ მაინც.

- იმ ადამიანთა გამოკვეთილი უმრავლესობა (64%), რომლებიც აცხადებენ, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ წამებას, აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელს თითქმის ყოველდღე განიცდიდა. ამჟამინდელი პატიმრების 70% და ყოფილი პატიმრების 58% ამბობს, რომ ისინი ფსიქოლოგიურ წამებას თითქმის ყოველდღე განიცდიდნენ. რესპონდენტთა 12% აღნიშნავს, რომ კვირაში ერთხელ მაინც განიცდიდნენ ფსიქოლოგიურ წამებას. ამასთან, ამჟამინდელი პატიმრების 5% და ყოფილი პატიმრების 19% ამბობს, რომ ფსიქოლოგიურ წამებას განიცდიდნენ კვირაში ერთხელ მაინც.

წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მიზანი

რესპონდენტებს 5 ბალიან სკალაზე, 1–იდან 5 ქულამდე (სადაც 1 აღნიშნავს „სრულიად უმნიშვნელოს“ ხოლო 5 – „ძალზე მნიშვნელოვანს“), უნდა შეეფასებინათ, თუ რამდენად იყო ესა თუ ის ფაქტორი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მიზანი. გამოიკვეთა ის ფაქტორები, რომლებსა რესპონდენტთა უმრავლესობამ მაქსიმალური ქულა (5) მიანიჭა მნიშვნელოვნების სკალაზე; მათ შორის, გამოირჩევა ორი ფაქტორი:

1. საპატიმროებში საყოველთაო შიშის დანერგვა (ამ ფაქტორს რესპონდენტთა 86%-მა მიანიჭა მაქსიმალური (5) ქულა);
2. პიროვნების დამორჩილება/დათრგუნვა (80% ანიჭებს მაქსიმალურ ქულას);

მაღალი მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტორებია:

- მწამებელთა ან წამების ორგანიზატორთა მიერ სიამოვნების მიღება (60% ანიჭებს მაქსიმალურ ქულას);
- იმ დანაშაულის აღიარება, რომელიც არ ჩაუდენიათ (58% ანიჭებს მაქსიმალურ ქულას);
- დანაშაულის აღიარება (56% ანიჭებს მაქსიმალურ ქულას);
- ქურდულ სამყაროსთან ბრძოლა (57% ანიჭებს მაქსიმალურ ქულას);
- პატიმრის ფსიქიკისა და ჯანმრთელობის დაზიანება (57% ანიჭებს მაქსიმალურ ქულას);
- პატიმრისთვის აგენტად თანამშრომლობის იძულება (51% ანიჭებს მაქსიმალურ ქულას).

გამოკითხვა აჩვენებს, რომ წამება და არაადამიანური მოპყრობა ყველაზე მეტად დაუკავშირდა ისეთ შედეგებს, როგორიცაა:

- გადაიხადა ფული ან დათმო ქონება
- დათანხმდა საპროცესო გარიგებას
- დაიბრალა დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია
- ფსიქიკურად დაავადდა
- მიიღო ფიზიკური დაზიანება
- დაიწყო ციხის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა

გამოკითხულთა უმრავლესობა (52-77%-ის ფარგლებში), ორივე ჯგუფში, პირადად იცნობს რამდენიმე ან ბევრ ისეთ ადამიანს, რომელსაც ზემოაღნიშნული შემთხვევები გადახდა.

რაც შეეხება წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების **ფოტო/ვიდეო დოკუმენტირების მიზნებს**, გამოკითხულთა უმრავლესობა (მერყეობს 55-82%-ის ფარგლებში) მიიჩნევს, რომ ასეთი მიზნები იყო:

- პატიმრის ან მისი ოჯახის წევრისთვის რაიმე ქმედების იძულება (აგენტად გადმობირება, პოლიტიკური შეხედულების შეცვლა, ფულის/ქომების გამოძალვა და სხვ.);
- პატიმრის დამცირება, ღირსების შელახვა;
- სხვა პატიმრებისთვის ფოტო/ვიდეო მასალის ჩვენება მათი დამორჩილება/დათრგუნვა;
- პატიმრის მიერ წამების ფაქტის არგამხელა;
- მწამებელთა და წამების ორგანიზატორთა მიერ სიამოვნების მიღება.

გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლსობა (70%) სრულიად იზიარებს მოსაზრებას, რომ პატიმრების წამება და არაადამიანური მოპყრობა იყო მთავრობის სასჯელაღსრულებითი პოლიტიკის მიზანმიმართული ნაწილი და არა ციხის ადმინისტრაციის ან ციხეში მომუშავე ცალკეული პირების ინიციატივა. ამჟამინდელ პატიმართა 77% და ყოფილ პატიმართა 64% იზიარებს აღნიშნულს. გამოკითხულთა მხოლოდ 4.2% აცხადებს, რომ ამ მოსაზრებას ძირითადად ან სავსებით არ იზიარებს.

წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მეთოდები

პატიმრების მიმართ გამოყენებული ფიზიკური წამების მეთოდები შეგვიძლია 3 ჯგუფად დავყოთ:

1. ფიზიკური წამების ძალზე გავრცელებული მეთოდები: ამ ჯგუფს მიეკუთვნება მეთოდები, რომელთა გამოყენების შესახებ რესპონდენტთა უმრავლესობა (50% და მეტი) აღნიშნავს;

2. ფიზიკური წამების მეტ-ნაკლებად გავრცელებული მეთოდები: ამ ჯგუფს მიეკუთვნება მეთოდები, რომელთა გამოყენების შესახებ რესპონდენტთა სულ მცირე, მეხუთედი მიუთითებს;

3. ფიზიკური წამების ნაკლებად გავრცელებული მეთოდები: ამ ჯგუფს მიეკუთვნება მეთოდები, რომელთა გამოყენების შესახებ რესპონდენტთა მეხუთედზე ნაკლები აღნიშნავს.

ფიზიკური წამების ძალზე გავრცელებულ მეთოდებს შორის მოხვდა შემდეგი:

- ცემა მუშტებით, წიხლებით;
- სამედიცინო მომსახურების (კონსულტაცია, ოპერაცია, მედიკამენტები) არქონა/შეზღუდვა.
- პატიმრებით გადაჭედილ საკანში მოთავსება;
- ცემა რეზინის და ხის ხელჯოხებით (ე.წ. დუბინკებით);
- დარტყმა სხეულის განსაკუთრებით მტკივნეულ ნაწილებში (ხელის/ფეხის მტევნებში, ნაოპერაციებ ადგილებში და სხვ.);
- ნესტიან და წყლიან საკნებში მოთავსება;
- დარტყმა ყურების არეში, როგორც ცალმხრივი, ისე ორმხრივი ე. წ. "ტელეფონი";
- გაუსაძლისი სიცივის ან სიცხის პირობების შექმნა;

რესპონდენტთა მიმართ ყველაზე ხშირად (55% და მეტ შემთხვევებში) გამოიყენებოდა **ფსიქოლოგიური წამების** შემდეგი მეთოდები:

- სიტყვიერი შეურაცხყოფა;
- საკანში ლაპარაკის აკრძალვა;
- რადიოს მოსმენის/პრესის გაცნობის/კითხვის აკრძალვა;
- სხვა პატიმრების წამების ხმების მოსმენინება;
- გასეირნების აკრძალვა;
- ძილის შეზღუდვა;
- ცემის, გაუპატიურების, სიკვდილით დასჯის და ა.შ. მუქარა;
- პირადი ჰიგიენის დაცვის შეზღუდვა;
- თანამშრომლობაზე იძულება.

პატიმრობის შედეგები და სამედიცინო მომსახურება

გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (84.2%) აცხადებს, რომ პატიმრობაში ყოფნამ მათ შეუქმნა ისეთი პრობლემები (სოციალური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სხვ.), რაც პატიმრობამდე არ ჰქონდათ (სურათი არსებითად არ იცვლება

როგორც ყოფილი, ისე ამჟამინდელი პატიმრების ჯგუფებში).

პატიმრობის ყველაზე უფრო გავრცელებულ შედეგებს მიეკუთვნება:

- გამოკვეთილი უმრავლესობის (72%) თქმით, პატიმრობის შედეგად შეექმნა ჯანმრთელობის ისეთი პრობლემა, რომელიც ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს. ამ მხრივ, ამჟამინდელ და ყოფილ პატიმრებს შორის განსხვავება მინიმალურია.
- გამოკითხულთა 59.3% ამბობს, რომ პატიმრობის შედეგად გახდნენ დეპრესიულები/დაკარგეს აქტიური ცხოვრების ინტერესი. ლოგიკურია, რომ ამჟამინდელი პატიმრების 63% და ყოფილი პატიმრების 55.1% აცხადებს ამავეს.

პატიმრობის სხვა მნიშვნელოვან შედეგებს შორის გამოიკვეთა შემდეგი:

- რესპონდენტთა 48% აღნიშნავს, რომ მათ დაუქვეითდათ ან დაკარგეს შრომის უნარი. ამჟამინდელი პატიმრების 53.2% და ყოფილი პატიმრების 42.2% აცხადებს იმავეს.
- გამოკითხულთა 37.6% ამბობს, რომ მათ დაკარგეს ქონება. ამჟამინდელი პატიმრების 26%-მდე და ყოფილი პატიმრებიდან ყოველი მეორე აცხადებს იმავეს.
- ყოველი მესამე გამოკითხული ამბობს, რომ პატიმრობაში ყოფნისას შეექმნათ ჯანმრთელობის ქრონიკული პრობლემა, რომელიც არ ექვემდებარება მკურნალობას. ამჟამინდელი და ყოფილი პატიმრების განსხვავებები, ამ თვალსაზრისით, მცირედ განსხვავდება.
- ასევე, თითქმის ყოველი მესამე გამოკითხული (31.7%) ამბობს, რომ მათ უჭირთ სხვა ადამიანებთან კონტაქტი (ოჯახის წევრების ჩათვლით). ამჟამინდელი პატიმრების 36% და ყოფილი პატიმრების 26.8% აცხადებს იმავეს.
- 21.6% აცხადებს, რომ გახდა საძილე საშუალებებზე/ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე დამოკიდებული. ამჟამინდელი და ყოფილი პატიმრების განცხადებები, ამ თვალსაზრისით, იდენტურია.

პატიმრობის შედეგად რესპონდენტებს განუვითარდათ **სხვადასხვა დაავადებები:**

ყველაზე უფრო ხშირად მიუთითებენ ფსიქიკურ აშლილობაზე (დეპრესია/ნევროზები და ა.შ.) (მიუთითებს 53.4%); ამ თვალსაზრისით, ყოფილი და ახლანდელი პატიმრები ერთსულოვანნი არიან.

სხვა, მეტ-ნაკლებად გავრცელებულ, დაავადებებს მიეკუთვნება:

- კუჭის წყლული/სხვა კუჭ-ნაწლავის დაავადებები (25%);
- C ჰეპატიტი (23%);
- გულ–სისხლძარღვთა დაავადებები (მანკი, გულის უკმარისობა, სარქველების დაზიანება და სხვ.) - 21%;
- ტუბერკულოზი (16%);
- სპინალური (ხერხემლის კუნთების ატროფია) დაავადებები (12%).

გამოკითხულთა 54%-მდე აცხადებს, რომ მათთვის სამედიცინო დახმარება არ გაუწევიათ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის უშუალო შედეგებთან მიმართებაში; მხოლოდ 2.4% აღნიშნავს, რომ წამების შედეგებთან მიმართებით მათ კვალიფიციური დახმარება სამედიცინო დახმარება გაუწიეს, ხოლო 15%-მდე არაკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებაზე საუბრობს. რაც შეეხება სამედიცინო დახმარებას ჯანმრთელობის ზოგადი პრობლემებიდან გამომდინარე, გამოკითხულთა 38%-მდე აღნიშნავს, რომ პატიმრობის პერიოდში არაკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას უწევდნენ; 35.8% კი ამბობს, რომ მათთვის სამედიცინო დახმარება არ გაუწევიათ. ყოფილ და ახლანდელ პატიმრებს შორის, სამედიცინო დახმარების გაწევის კონტექსტში, მსგავსი გამოცდილებაა.

ურთიერთობა უფლებადამცველ პირებთან/ორგანიზაციებთან და საჯაროობა

რესპონდენტთა უმრავლესობა (ზოგჯერ, დიდი უმრავლესობაც) აცხადებს, რომ დაკავების ან პატიმრობის პერიოდში არასდროს ხვდებოდნენ:

- გაეროს/ევროსაბჭოს და სხვა საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს (არასოდეს შეხვედრია 92.7%);
- საერთაშორისო უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს (არასოდეს შეხვედრია 88%-მდე);
- საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წარმომადგენლებს (არასოდეს შეხვედრია 90.6%);
- სახაზინო ადვოკატს (არასოდეს შეხვედრია 74.2%);
- სახალო დამცველის ოფისის წარმომადგენელს (არასოდეს შეხვედრია 61.6%);
- ადგილობრივი უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს (არასოდეს შეხვედრია 74.6%);

ყველაზე ხშირი შეხვედრები რესპონდენტებს ჰქონდათ სასულიერო პირებთან („ხშირად“ ან „ზოგჯერ“ შეხვედრებზე მიუთითებს 56.7%) და კერძო ადვოკატებთან („ხშირად“ ან „ზოგჯერ“ შეხვედრებზე მიუთითებს 54.3%).

რაც შეეხება სახალხო დამცველის ოფისის, აგრეთვე, ადგილობრივი უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომამდგენლებს, მათთან მეტ-ნაკლები სიხშირით („ხშირად“/„ზოგჯერ“) შეხვედრებზე მიუთითებს, შესაბამისად, 15.3% და 10.4%.

სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლებთან შეხვედრების სიხშირის ტენდენციები ნარჩუნდება როგორც ყოფილი, ისე ამჟამინდელი პატიმრების ჯგუფებში.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ხდებოდა შეხვედრები პატიმრებსა და სხვადასხვა უფლედამცველ პირებსა და ორგანიზაციებს შორის, პატიმართა უფრო დიდი ნაწილი (ზოგჯერ, უმრავლესობაც) არ აცნობდა მათ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ. ამის ძირითადი მიზეზი, გამოკითხულთა მიხედვით, ვითარების გამოსწორების იმედის არქონა იყო; სხვა მიზეზი იყო შიში იმისა, რომ ასეთი ფაქტების გამჟღავნებისთვის უარესად დასჯიდნენ პატიმარს ან მისი ოჯახის წევრებს. რესპონდენტთა სკეპტიციზმს ადასტურებს იმ ჯგუფის, ვინც გაამხილა წამებისა და არაადამიანური

მოპყრობის შესახებ, გამოკვეთილი უმრავლესობის (75.2%) განაცხადი, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების უფლებადამცველი პირებისა და ორგანიზაციებისთვის გაცნობის მიუხედავად, ამას არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია (ამჟამინდელ პატიმართა 67.6% და ყოფილ პატიმართა 81%-მდე აღნიშნავს იმავეს).

გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლესობა (70.2%) სრულიად იზიარებს მოსაზრებას, რომ პატიმრების წამება და არაადამიანური მოპყრობა იყო მთავრობის სასჯელაღსრულებითი პოლიტიკის მიზანმიმართული ნაწილი და არა ციხის ადმინისტრაციის ან ციხეში მომუშავე ცალკეული პირების ინიციატივა (ამჟამინდელ პატიმართა 77% და ყოფილ პატიმართა 64% იზიარებს აღნიშნულს).

პენიტენციურ სისტემაში ამჟამად არსებული მდგომარეობის შეფასება პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის თვალსაზრისით

გამოკითხულთა უმრავლესობა (61%-მდე) აცხადებს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები აღმოიფხვრა (ამჟამინდელ პატიმართა 64% და ყოფილ პატიმართა 57.7% აცხადებს იმავეს). რესპონდენტთა 29%-ის განცხადებით, რომ პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები შემცირდა, თუმცა არ აღმოფხვრილა. გამოკითხულთა მხოლოდ 0.4% ამბობს, რომ პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები იმავე ინტენსივობით ხდება.

პენიტენციურ სისტემაში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის თვალსაზრისით ვითარების მკვეთრად გაუმჯობესებას ისიც აჩვენებს, რომ ყოფილ და ამჟამინდელ პატიმართა გამოკვეთილი უმრავლესობისთვის (70-80%-ის ფარგლებში) 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სხვადასხვა დაწესებულებებში (საპატიმროები, პოლიციის და უშიშროების იზოლატორები, პოლიციის სამმართველოები) პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები ცნობილი არ არის.

ყოფილ პატიმართა 5.5% და ამჟამინდელ პატიმართა 12%-მდე აცხადებს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ერთი-ორი ფაქტის შესახებ პირადად იციან. სხვა დაწესებულებებში (პოლიციის იზოლატორები, სამმართველოები და სხვ.) ასეთი ინფორმაცია მაქსიმუმ 6%-ს აქვს. იმ ამჟამინდელი პატიმრების ხვედრითი წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ პირადად იციან სხვადასხვა დაწესებულებაში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ბევრი ფაქტის შესახებ, 3- 4%-ს არ აჭარბებს.

1.1. კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანი იყო 2003 წლიდან დღემდე სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმართა ცხოვრების პირობებისა და მათ მიმართ მოპყრობის პრაქტიკების გამოვლენა; ასევე, – პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მიზნისა და კონტექსტის შესწავლა.

კვლევის ძირითადი ამოცანებია:

- სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ინტენსივობის გამოვლენა;
- სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მეთოდების გამოვლენა;
- სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მიზნების დადგენა;
- იმ ინსტიტუტების და სტატუსების გამოვლენა, რომლებიც ჩართულმი იყვნენ პატიმართა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში;
- სხვადასხვა სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების შეფასება, მათში პატიმართა წამებისა და არადამიანური მოპყრობის ფაქტების პრაქტიკების ინტენსივობისა და ხასიათის თვალსაზრისით;
- სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში გავრცელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ ყოფილ და ამჟამინდელ პატიმართა მონათხრობების შედარება.

1.2. რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა

კვლევის გენერალური ერთობლიობა: ყოფილი და ამჟამინდელი პატიმრები.

გამოკვლევის ტიპი: რაოდენობრივი კვლევა.

კვლევის მეთოდი: პირისპირ ინტერვიუ.

კვლევის ინსტრუმენტი: კითხვარი.

შერჩევის მოცულობა: 1199 რესპონდენტი, მათგან 598 ამჟამინდელი პატიმარია, ხოლო 601 - ყოფილი პატიმარი.

შერჩევის დიზაინი: მარტივი შემთხვევითი შერჩევა.

კვლევის საწყის ეტაპზე შედგა შერჩევის სქემა, რომელიც მოიცავდა რესპონდენტების განაწილებას სხვადასხვა პრინციპის მიხედვით: ყოფილი პატიმრების შემთხვევაში გეოგრაფიული ერთეულების, ხოლო ამჟამინდელი პატიმრების შემთხვევაში – სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების მიხედვით.

კითხვარი: შერჩევის მოდელის დიზაინის პარალელურად მოხდა კვლევის ინსტრუმენტის – კითხვარის შემუშავება, რომელიც იყო სტრუქტურირებული, ანუ ძირითადად შედგებოდა დახურული, ან ნახევრად დახურული შეკითხვებისაგან.

მონაცემების დამუშავება და ანალიზი: თავდაპირველად მოხდა საველე სამუშაოების შედეგად შევსებული კითხვარების კოდირება და ფორმალიზაცია. შემდეგ განხორციელდა მონაცემების კომპიუტერში შეტანა. ფაილის „გაწმენდის" (სტატისტიკური დამუშავების პირველი ეტაპი) შემდეგ, მონაცემები დამუშავდა SPSS კომპიუტერული პროგრამის ფარგლებში. დამუშავებისა და ანალიზისას გამოყენებული იქნა უნივარიაციულიდ და ბივარიაციული ანალიზის მეთოდები, როგორიცაა სიხშირული (ერთგანზომილებიანი) განაწილება, ცენტრალური ტენდენციის მაჩვენებლები, კორელაციური ანალიზი და სხვ.

კვლევა ეყრდნობა პრინციპულ დაშვებას, რომ შესაძლებელია ანალიზი ჩატარდეს ორ დონეზე:

- პატიმრების, როგორც საერთო სოციო-კულტურული მთლიანობის და მენტალობის მქონე ჯგუფის დონეზე;
- ამჟამინდელი და ყოფილი პატიმრების, როგორც განსხვავებული წარმოდგენების, ემოციების და ატიტუდების მქონე ქვეჯგუფების დონეზე.

შესაბამისად, შესაძლებელია გაკეთდეს შედარებითი ანალიზი ამ ორ თემს შორის.

2. პატიმრობის ისტორია

პატიმრობის ისტორია მოიცავს ისეთი საკითხების გამოვლენას, როგორიცაა: რესპონდენტთა ამჟამინდელი სამართლებრივი სტატუსი; ყოფილ პატიმართა გათავისუფლების მიზეზები და თარიღი; ამჟამინდელ და ყოფილ პატიმართა მიერ ჩადენილი დანაშაულის/ქმედების სუბიექტური შეფასება; ნასამართლეობის მუხლ(ებ)ის, ასევე, პატიმრობის პერიოდის და იმ სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების გამოვლენა, რომლებშიც გაატარეს პატიმრობის პერიოდი.

გამოკითხულ ამჟამინდელ პატიმართა 3.5% წინასწარ პატიმრობაში იმყოფება, ანუ მიუსჯელი პატიმარია. 1.5%-ს პირობითი სასჯელი აქვს, ხოლო 95% სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში იმყოფება.

გამოკითხულ ყოფილ პატიმართა 2.3%-ს პირობითი სასჯელი აქვს. ხოლო, 97.7% ყოფილი პატიმარია. იხ. ცხრილი #1:

ცხრილი #1: ყოფილ და ამჟამინდელ პატიმართა სამართლებრივი სტატუსის სიხშირული განაწილება

ამჟამინდელი სამართლებრივი სტატუსი	ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები
მიუსჯელი პატიმარი (ბრალდებული) (მათ შორის, წინასწარ პატიმრობაში მყოფი)	–	3.5% N=21
მსჯავრდებული პირობითი სასჯელით	–	1.5% N=9
მსჯავრდებული (პატიმარი) სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში	–	95.0% N=568
ყოფილი პატიმარი პირობითი მსჯავრით	2.3% N=14	–
ყოფილი პატიმარი	97.7% N=587	–

გამოკითხულ ამჟამინდელ პატიმართა 23% გლდანის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში იმყოფება, 17% – რუსთავის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, 17% – ქსნის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, 11% – გარდაბნის რაიონის სოფელ მთისძირის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, 10% – გეგუთის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, 10% – ქუთაისის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში. იხ. ცხრილი #2:

ცხრილი #2: ამჟამინდელ პატიმართა სიხშირული განაწილება სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების მიხედვით

სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები	ამჟამინდელი პატიმრები
ქუთაისი სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	9.9% N=59
გარდაბნის მუნიციპალიტეტის ქალთა სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	5.4% N=32
გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფ. მთისძირის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	11.4% N=68
გლდანის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	22.9% N=137
„მატროსოვის“ სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	2.0% N=12

ცხრილი #2 გაგრძელება

სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები	ამჟამინდელი პატიმრები
გეგუთის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	10.0% N=60
ქსნის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	16.6% N=99
ქ. რუსთავის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	16.9% N=101
ე.წ. „ ტუბი“	5% N=30

გამოკითხულ ყოფილ პატიმართა 54% ამნისტიის შედეგად გათავისუფლდა, 18% - სასჯელის ამოწურვის შედეგად, 10% – ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის მიერ (ე.წ. „უდო“), 8% – პოლიტპატიმართა სიით, 4% – ნულოვანი საპროცესო გარიგებით, 4% – პრეზიდენტის შეწყალებით. იხ. ცხრილი #3:

ცხრილი #3: ყოფილ პატიმართა განაწილება გათავისუფლების მიზეზების მიხედვით

გათავისუფლების მიზეზები	ყოფილი პატიმრები
გათავისუფლდა ამნისტიის შედეგად	53.9% N=324
გათავისუფლდა ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიით (ე.წ. "უდო“)	9.7% N=58
გათავისუფლდა სასჯელის ამოწურვის შედეგად	18.1% N=109
გათავისუფლდა პოლიტპატიმართა სიით	7.5% N=45
პატიმრობიდან გათავისუფლდა გადავადებით მძიმე დაავადების გამო	1.2% N=7
გათავისუფლდა სასჯელისაგან მძიმე დაავადების გამო	1.2% N=7

ცხრილი #3 გაგრძელება

გათავისუფლების მიზეზები	ყოფილი პატიმრები
გათავისუფლდა ხანდაზმულობის გამო	0.2% N=1
გათავისუფლდა უზენაესი სასამართლოს მიერ გამოიტანილი გამამართლებელი განაჩენის საფუძველზე	0.3% N=2
გათავისუფლდა ნულოვანი საპროცესო გარიგებით	3.8% N=23
გათვაისუფლდა გირაოს სანაცვლოდ	0.3% N=2
გათავისუფლდა პრეზიდენტის შეწყალების შედეგად	3.8% N=23

ყოფილ პატიმართა უმრავლესობა (58%-მდე) 2013 წელს გათავისუფლდა, 19.5% - 2012 წელს, 8.5% – 2011 წელს, 4.8% –2010 წელს. იხ. ცხრილი #4:

ცხრილი #4: ყოფილ პატიმართა განაწილება განთავისუფლების თარიღების მიხედვით

გათავისუფლების წლები:	ყოფილი პატიმრები
2006 წელი	1.3% N=8
2007 წელი	2.5% N=15
2008 წელი	2.7% N=16
2009 წელი	2.8% N=17

გათავისუფლების წლები:	ყოფილი პატიმრები
2010 წელი	4.8% N=29
2011 წელი	8.5% N=51
2012 წელი	19.5% N=117
2013 წელი	57.9% N-348

ყოფილ და ამჟამინდელ პატიმართა უმრავლესობა ერთი ნასამართლეობის მქონეა: ყოფილ პატიმართა 90.8%–ს ერთი ნასამართლეობა აქვს, ორი ნასამართლეობა 6.8%–ს აქვს, სამი – 0.8%–ს (5 ადამიანი), ხოლო ოთხი ნასამართლეობა –1.5%–ს (9 ადამიანი). ამჟამინდელ პატიმართა 64.4%–ს ერთი ნასამართლეობა აქვს, 23.7%–ს – ორი, 8%–ს – სამი, ხოლო 3.8%–ს ოთხი. იხ. ცხრილი #5:

ცხრილი#5: ყოფილ და ამჟამინდელ პატიმართა ნასამართლეობების რაოდენობა

		ყოფილი პატიმარი	ამჟამინდელი პატიმარი	სულ
ნასამართლეობის რაოდენობა	1	90.8%	64.4%	77.6%
	2	6.8%	23.7%	15.3%
	3	0.8%	8.0%	4.4%
	4	1.5%	3.8%	2.7%

3. ჩადენილი დანაშაულის სუბიექტური შეფასება

რესპონდენტებს სთხოვდნენ, დაესახელებინათ დანაშაული/ქმედება, რომელიც მათი აზრით ჩაიდინეს და არა იმ მუხლ(ებ)ის შესაბამისი დანაშაული, რომლითაც გასამართლდნენ. ამ შეკითხვის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამებოდა ჩადენილი დანაშაულის სუბიექტური აღქმა პატიმართა დანაშაულის ოფიციალურ სტატუსს (ეს იქნებიოდა, ასევე, პასუხი იმის შესახებ, თუ რამდენად სამართლიანად მიიჩნევდნენ რესპონდენტები მათთვის მინიჭებულ კვალიფიკაციას და გამოტანილ სასჯელს). გასათვალისწინებელია, რომ შეკითხვა შეეხო ბოლო ნასამართლეობას.

იკვეთება, რომ რესპონდენტთა დაახლოებით 27%, ბოლო ნასამართლეობის შემთხვევაში, თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს. ყოფილ პატიმრებს შორის, ამჟამინდელ პატიმრებთან შედარებით, მაღალია იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებიც ბოლო ნასამართლეობის შემთხვევაში თავს უდანაშაულოდ მიიჩნევენ. აღსანიშნავია, რომ ყოფილი პატიმრები ბოლო ნასამართლეობისას ჩადენილ დანაშაულად, სხვა დანაშაულებთან შედარებით მეტად, წამალდამოკიდებულებას ასახელებენ. აღნიშნული ტენდენცია ამჟამინდელ პატიმრებში არ ნარჩუნდება. თუმცა, ამ ჯგუფშიც წამალდამოკიდებულება ერთ-ერთია ბოლო სანამართლეობისას ჩადენილ ყველაზე მეტად გავრცელებულ დანაშაულის ოთხ ტიპს შორის.

უფრო კონკრეტულად: ყოფილ პატიმართა 29.6% ამბობს, რომ ბოლო ნასამართლეობის შემთხვევაში დანაშაული არ ჩაუდენია. 18% ბოლო ნასამართლეობის შემთხვევაში ჩადენილ დანაშაულად წამალდამოკიდებულებას (მოხმარება) და შენახვას ასახელებს. ხოლო, 12% – ქურდობას, 9%– ფინანსურ დანაშაულს (კორუფცია, გადასახადების დამალვა და ა.შ.).

რაც შეეხება ამჟამინდელ პატიმრებს, მათი 23.4% აცხადებს, რომ ბოლო ნასამართლეობის შემთხვევაში დანაშაული არ

ჩაუდენია. 15% ბოლო ნასამართლეობის შემთხვევაში ჩადენილ დანაშაულად ქურდობას ასახელებს, 15% – მკვლელობას, 13% –ყაჩაღობას, 13% – წამალდამოკიდებულებას (მოხმარებას) და შენახვას. იხ. ცხრილი #6ა:

ცხრილი #6ა: ჩადენილი დანაშაულის სუბიექტური შეფასება ბოლო ნასამართლეობის შემთხვევაში

რა დანაშაული გაქვთ/გქონდათ ჩადენილი? (რესპონდენტის მოსაზრება, რა დანაშაული ჩაიდინა და არა იმ მუხლ(ებ)ის შესაბამისი დანაშაული, რომლითაც გასამართლდა)	ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
ქურდობა	11,8%	15,0%	13,4%
ყაჩაღობა	5,0%	12,5%	8,7%
ძარცვა	1,4%	5,1%	3,2%
სხეულის განზრახ დაზიანება	1,2%	2,8%	2,0%
მკვლელობა	2,2%	14,7%	8,4%
მკვლელობის მცდელობა	2,0%	1,7%	1,9%
გაუპატიურება	-	0,9%	0,5%
გაუპატიურების მცდელობა	0,3%	0,2%	0,2%
ოჯახური ძალადობა	-	0,2%	0,1%
წამება	-	0,2%	0,1%
ტრეფიკინგი	-	0,3%	0,2%
წამალდამოკიდებულება (მოხმარება) და შენახვა	17,8%	12,7%	15,3%
ნარკოტიკების რეალიზაცია	1,1%	3,5%	2,3%
ავტოსაგზაო შემთხვევა	1,1%	1,4%	1,3%
ხულიგნობა	4,5%	0,8%	2,7%
ტერორიზმი	-	0,2%	0,1%
ფინანსური დანაშაული(კორუფცია, გადასახადების დამალვა და ა.შ.)	9,3%	1,7%	5,6%

ცხრილი #ნა გაგრძელება

რა დანაშაული გაქვთ/გქონდათ ჩადენილი? (რესპონდენტის მოსაზრება, რა დანაშაული ჩაიდინა და არა იმ მუხლ(ებ)ის შესაბამისი დანაშაული, რომლითაც გასამართლდა)	ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარება	4,8%	1,6%	3,2%
პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა	1,9%	-	0,9%
კონსტიტუციური წყობილების ძალადობის გზით დამხობა	1,9%	-	0,9%
თაღლითობა	2,0%	0,6%	1,3%
თანამდებობის ბოროტად გამოყენება	0,6%	-	0,3%
აღნიშნავს, რომ დააპატიმრეს პოლიტიკური მოტივით	0,3%	-	0,2%
ადამიანის გატაცება	0,2%	0,3%	0,2%
სამხედრო ნაწილის მიტოვება/კონტრაქტის დარღვევა	0,5%	-	0,2%
დანაშაული საერთოდ არ ჩამიდენია	29,6%	23,4%	26,5%
სხვა	0,6%		0,3%
მიჭირს პასუხის გაცემა	0,2%	0,2%	0,2%

რაც შეეხება დანაშაულის ოფიციალურ კვალიფიკაციას, იკვეთება, რომ რესპონდენტები, ძირითადად, შემდეგი მუხლებით გასამართლდნენ (იხ. ცხრილი #6ბ):

ცხრილი #6ბ: დანაშაულის ოფიციალური კვალიფიკაცია

ნასამართლეობის მუხლები	მუხლის განმარტება	ყოფილი პატიმარი	პატიმარი
260	წამალდამოკიდებულება (მოხმარება) და შენახვა/რეალიზაცია	17.3%	7.7%
177	ქურდობა	9.0%	13.4%
179	ყაჩაღობა	5.2%	11.2%
109	განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში	0.3%	9.4%
236	ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება.	5.0%	4.7%
108	განზრახ მკვლელობა	2.5%	7.5%
180	თაღლითობა	5.8%	1.5%
178	ძარცვა	0.8%	3.0%
262	ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა.	0.3%	4.0%
239	ხულიგნობა	2.7%	0.8%
315	შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად	1.0%	
353	პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ან საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა	0.7%	0.7%
19.109	დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობა	0.2%	2.7%
273	პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება.	1.2%	1.2%
143	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით უზრუნველყოფა		1.8%
210	ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება	1.5%	0.2%
19.108	განზრახ მკვლელობის მცდელობა	0.5%	1.7%
117	ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	0.7%	0.8%

ბოლო ნასამართლეობისას ჩადენილი დანაშაულის სუბიექტური შეფასებისა და ნასამართლეობის მუხლების ურთიერთმიმართებისას იკვეთება, რომ საქართველოს **კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლის (შეთქმულება ან ამბოხება) და პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე თუ საჯარო დაწესებულებაზე** თავდასხმის ბრალდებით გასამართლებული ადამიანები, შემთხვევათა უმრავლესობაში, თავს უდანაშაულოებად მიიჩნევენ.

უფრო კონკრეტულად:

- 315–ე მუხლით (შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად) გასამართლებულ ადამიანებს შორის, სხვა მუხლებით გასამართლებულებთან შედარებით, მაღალია იმ შემთხვევათა წილი, როცა რესპონდენტები აცხადებენ, რომ დანაშაული საერთოდ არ ჩაუდენიათ. კერძოდ, 315–ე მუხლით გასამართლებული ადამიანები შემთხვევათა 62.5%–ში აცხადებენ, რომ მათ დანაშაული არ ჩაუდენიათ.

- ასევე, 143–ე მუხლით გასამართლებული ადამიანები შემთხვევათა 53%–ში აცხადებენ, რომ მათ დანაშაული არ ჩაუდენიათ (აღნიშნული მუხლი გულისხმობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით უზრუნველყოფას).

- 353–ე მუხლით გასამართლებული ადამიანები შემთხვევათა 40%–ში აცხადებენ, რომ დანაშაული არ ჩაუდენიათ. ეს უკანასკნელი გულისხმობს პოლიციელზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ან საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, რომლებიც თავის დანაშაულს არ აღიარებენ, როდესაც ამ დანაშაულის ოფიციალური კვალიფიკაცია წამალდამოკიდებულებაა (მოხმარება) და შენახვა/რეალიზაციაა. კერძოდ, ის ადამიანები, რომლებიც 260–ე მუხლით გასამართლდნენ (წამალდამოკიდებულება და შენახვა/რეალიზაცია), მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სუბიექტური შეფასებისას შემთხვევათა უმრავლესობაში (61.4%) აცხადებენ, რომ მათ მიერ ჩადენილი დანაშაული/ქმედება წამალდამოკიდებულება (მოხმარება) და შენახვა ან ნარკოტიკების რეალიზაცია იყო. თუმცა, ამ მუხლით გასამართლებული ადამიანების 24% აცხადებს, რომ დანაშაული საერთოდ არ ჩაუდენიათ.

დეტალურად შედეგები იხ. ცხრილში #7:

ცხრილი #7: ბოლო ნასამართლეობის მუხლისა და ჩადენილი დანაშაულის სუბიექტური შეფასების ურთიერთმიმართება

დანაშაულის სუბიექტური შეფასება	ბოლო ნასამართლეობის მუხლები					
	260	177	179	109	236	108
ქურდობა	1.9	80.5	8.5	5.9	1.4	1.3
ყაჩაღობა	0.4	4.1	64.1	4.7	9.5	1.3
ძარცვა	0.4	1.8	6.5	7.1	2.7	
სხეულის განზრახ დაზიანება	0.4	1.2		1.2	1.4	6.4
მკვლელობა		1.2	2.0	56.5	9.5	65.4
მკვლელობის მცდელობა	0.4	0.6	1.3	1.2	1.4	14.1
გაუპატიურება						
ტრეფიკინგი	0.4					
წამალდამოკიდებულება (მოხმარება) და შენახვა	61.4	1.8	1.3		6.8	
ნარკოტიკების რეალიზაცია	10.0					
ავტოსაგზაო შემთხვევა		0.6	0.7		2.7	
ხულიგნობა	0.4	1.2	1.3	1.2	1.4	
ტერორიზმი					1.4	
ფინანსური დანაშაული (კორუფცია, , გადასახადების დამალვა და ა.შ.)	0.8	1.8				
იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარება	2.3	1.8	2.0	1.2	40.5	1.3
პოლიციის წინააღმდეგობა		0.6			1.4	
კონსტიტუციური წყობილების ძალადობის გზით დამხობა	0.4	0.6				
თაღლითობა		2.4	1.3	1.2		
თანამდებობის ბოროტად გამოყენება						
პოლიტიკური მოტივი						
ადამიანის გატაცება						
დანაშაული საერთოდ არ ჩამიდენია	23.9	16.0	19.6	21.2	36.5	15.4

ბოლო ნასამართლეობის მუხლები											
180	178	262	239	315	353	19	273	143	210	19.11	117
4.2	12.8	3.6	4.2		5.0	10.0	11.1	5.9			7.1
1.4	7.7		4.2				5.6	11.8		6.7	
	46.2		4.2			5.0		5.9		6.7	
	2.6	3.6				10.0				20.0	50.0
	2.6		4.2		10.0	30.0		5.9		13.3	
						15.0				33.3	7.1
								11.8			
								5.9			
		60.7					72.2				
1.4		21.4									
	2.6				5.0						7.1
1.4			66.7		10.0						
42.3									50.0		
					5.0			5.9	6.3		7.1
					35.0						14.3
				33.3							
15.5									6.3		
1.4											
1.4				4.2							
				4.2							
35.2	30.8	17.9	29.2	62.5	40.0	30.0	16.7	52.9	37.5	26.7	35.7

4.1. პატიმართა წამებისა და არაადამინური მოპყრობის ფაქტების შესახებ ინფორმირებულობა; სხვადასხვა დაწესებულებებში პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ინტენსივობის შეფასება

გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (81%) აღნიშნავს, რომ ნახეს 2012 წლის სექტემბერში სასეჯლაღსრულებით დაწესებულებებში პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ მედიით გავრცელებული ვიდეო კადრები. ამას ამჟამინდელი პატიმრების 81% და ყოფილი პატიმრების 80% ადასტურებს. იხ. დიაგრამა #1:

დიაგრამა #1

ნახეთ თუ არა პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ მედიით გავრცელებული ვიდეო კადრები პირადად თქვენ?



ფაქტების შესახებ დანამდვილებით იცოდნენ მათ გასაჯაროებამდე. მეორე მხრივ, ყოფილ პატიმრებს შორის, ამჟამინდელ პატიმრებთან შედარებით მაღალია იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ აღნიშნული ფაქტების შესახებ არაერთხელ ჰქონდათ გაგებული, თუმცა დადასტურება არ შეეძლოთ (20%), ამჟამინდელი პატიმრების 10% აცხადებს, ამავეს. იხ. დიაგრამა #2:

დიაგრამა #2



ყოფილ და ამჟამინდელ პატიმრებს უნდა შეეფასებინათ, რამდენად იყო გავრცელებული პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სხვადასხვა დაწესებულებებში, როგორიცაა: სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები (საპატიმროები), პოლიციის იზოლატორები, პოლიციის სამმართველოები/განყოფილებები და უშიშროების იზოლატორი (ე.წ. „მოდულის“ შენობა).

რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობის (64%) მონათხრობით, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სისტემატურად (ყოველდღიურად) იყო გავრცელებული სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში (საპატიმროებში). რაც შეეხება პოლიციის იზოლატორებსა და სამმართველოებს/განყოფილებებს, დაახლოებით ყოველი მეხუთე რესპონდენტი ამბობს, რომ აღნიშნულ დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სისტემატურად (ყოველდღიურად) იყო გავრცელებული.

გამოკითხულთა შედარებით მცირე ნაწილი, 14% ამბობს, რომ უშიშროების იზოლატორში ე.წ. „მოდულის“ შენობაში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები ყოველდღიურად იყო გავრცელებული.

გამოკითხულთა მხოლოდ 1.5% ამბობს, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში (საპატიმროებში) წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები გავრცელებული არ იყო. პოლიციის იზოლატორების, სამმართველოების/განყოფილებებისა და ე.წ. „მოდულის“ შენობის შემთხვევაში რესპონდენტთა 13–14% ამბობს იმავეს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციის იზოლატორებში, სამმართველოებში/განყოფილებებსა და უშიშროების იზოლატორში წამების და არაადამიანური ფაქტების ინტენსივობის შეფასებისას მაღალია იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირთ. იხ. ცხრილი #8:

ცხრილი #8 : სხვადასხვა დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გავრცელების ინტენსივობის შეფასება

	სისტემა-ტურად	ხშირად	ზოგჯერ	თითქმის არასდროს	მიჭირს პასუხის გაცემა
სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები (საპატიმროები)	63.9	24.9	3.6	1.5	6.2
პოლიციის იზოლატორები	21.2	19.9	12.5	13.8	32.6
პოლიციის სამმართველოები/განყოფილებები	20.9	18.8	11.5	13.4	35.7
უშიშროების იზოლატორი (ე.წ. „მოდულის“ შენობა)	13.5	11.5	5.4	14.2	55.4

იკვეთება, რომ ამჟამინდელი პატიმრებს შორის, ყოფილ პატიმრებთან შედარებით, უფრო დიდია იმათი წილი, ვინ აღნიშნავს, რომ სხვადასხვა დაწესებულებებში პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სისტემატურად (ყოველდღიურად) იყო გავრცელებული. კერძოდ, ამჟამინდელ პატიმრების 76% აღნიშნავს, რომ საპატიმროებში ყოველდღიურად აწამებდნენ ადამიანებს, ხოლო ყოფილ პატიმრებს შორის ამას ყოველი მეორე (51%) ადასტურებს. იგივე ტენდენციაა სხვა დაწესებულებებთან მიმართებაშიც: ამჟამინდელ პატიმართა 28% აცხადებს, რომ პოლიციის იზოლატორებში აღნიშნული ფაქტები ყოველდღიურად იყო გავრცელებული, მაშინ როცა ყოფილ პატიმრებს შორის 14% ამბობს იმავეს. თითქმის იდენტური სურათი იკვეთება პოლიციის სამმართველოების შემხვევაშიც: ამჟამინდელ პატიმართა 28% აღნიშნავს, რომ ამ დაწესებულებებში ადამიანებს სისტემატურად აწამებდნენ, ხოლო ყოფილ პატიმართა 13% ამბობს იმავეს.

ყოფილ და ამჟამინდელ პატიმართა მოსაზრებები ერთმანეთთან ყველაზე ახლოსაა უშიშროების იზოლატორის („მოდულის“ შენობის) შემთხვევაში: ამჟამინდელ პატიმართა 15% და ყოფილ პატიმართა 12% აცხადებს, რომ ე.წ. „მოდულის“ შენობაში ადამიანთა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სისტემატურად იყო გავრცელებული. იხ. დიაგრამა #3:

დიაგრამა #3

თქვენი აზრით, რამდენად იყო გავრცელებული პატიმრების წამება და არაადამიანური მოპყრობა შემდეგ დაწესებულებებში?



4.2. რესპონდენტთა მონათხრობი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების საკუთარი გამოცდილების შესახებ

რესპონდენტთა უმრავლესობა (50-85%-ის ფარგლებში) აცხადებს, რომ მათ გამოსცადეს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სხვადასხვა ფაქტები:

- ფიზიკური წამება;
- ფსიქოლოგიური წამება;
- ესწრებოდა მეგობრის წამებას (იგულისხმება თანამესაკნეც);
- ესწრებოდა სხვა პატიმრის წამებას;
- ესმოდა წამების ხმები;
- არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობა;
- არაადეკვატური სამედიცინო მომსახურება;
- არაადამიანური, ღირსების შემლახავი პატიმრობის პირობები.

რესპონდენტთა პრაქტიკაში წამების ყველაზე გავრცელებული ფორმაა **ფსიქოლოგიური წამება:** ამჟამინდელ და ყოფილ პატიმრებს შორის თითქმის თანაბარია იმ ადამიანთა პროცენტული მაჩვენებელი (შესაბამისად, 83% და 86%), რომლებიც აცხადებენ, რომ მათ ფსიქოლოგიურად აწამებდნენ.

ასევე, ორივე ჯგუფში მსგავსი ტენდენცია არსებობს ისეთ გავრცელებულ ფაქტებთან მიმართებაში, როგორიცაა: სხვათას წამების ხმების გაგება, არაადეკვატური სამედიცინო მომსახურება და არაადამიანური, ღირსების შემლახავი პატიმრობის პირობები.

მნიშვნელოვნად განსხვავებულია ამჟამინდელ და ყოფილ პატიმართა მონათხრობები **ფიზიკურ წამებასთან** მიმართებაში: ამჟამინდელი პატიმრების 84% და ყოფილი პატიმრების 66% აცხადებს, რომ მათ ფიზიკურად აწამებდნენ.

ამჟამინდელი და ყოფილი პატიმრების გამოცდილება განსხვავდება ისეთ ფაქტებთან მიმართებაშიც, როგორიცაა არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობა და მეგობრის (თანამესაკნის ჩათვლით), ან სხვა პატიმრის წამებაზე დასწრება. თუმცა, ეს პრაქტიკები ორივე ჯგუფში გავრცელებულია: ა) ამჟამინდელი პატიმრების 75% და ყოფილი პატიმრების 63% მიუთითებს, რომ ადგილი ჰქონდა არაადამიანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობას; ბ) ამჟამინდელი პატიმრების 55% და ყოფილი პატიმრების 45% აღნიშნავს, რომ ესწრებოდა მეგობრის წამებას; გ) აგრეთვე, ამჟამინდელ პატიმართა 56% და ყოფილ პატიმართა 47% ამბობს. რომ სხვა პატიმრის წამებას ესწრებოდა.

გარდა ამისა, რესპონდენტთა 80% ადასტურებს, რომ ესმოდა წამების ხმები და ამ თვალსაზრისით ამჟამინდელ და ყოფილ პტიმართა გამოცდილება თანხვედრაშია. ასევე, რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (73%) ამბობს, რომ ადგილი ჰქონდა არაადეკვატურ სამედიცინო მომსახურებას და არაადამიანურ, ღირსების შემლახავ პატიმრობის პირობებს; ამ თვალსაზრისითაც, ამჟამინდელ და ყოფილ პატიმართა გამოცდილება თითქმის იდენტურია.

დეტალურად გამოკითხვის შედეგები იხ. ცხრილში #9:

ცხრილი #9 : სხვადასხვა დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გავრცელების ინტენსივობის შეფასება

პირადად თქვენ მეგემთხვათ თუ არა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტები?		ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
ადგილი ჰქონდა ფიზიკურ წამებას	დიახ	66.4%	84.4%	75.4%
	არა	33.1%	14.2%	23.7%
	უარი პასუხზე	0.5%	1.3%	0.9%
ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ წამებას	დიახ	85.9%	82.6%	84.2%
	არა	13.5%	16.4%	14.9%
	უარი პასუხზე	0.7%	1.0%	0.8%
ესწრებოდა ოჯახის წევრის/ნათესავის წამებას	დიახ	1.8%	2.8%	2.3%
	არა	97.8%	96.0%	96.9%
	უარი პასუხზე	0.3%	1.2%	0.8%
ესწრებოდა მეგობრის წამებას (იგულისხმება თანამესაკნეც)	დიახ	45.1%	54.8%	50.0%
	არა	54.6%	44.0%	49.3%
	უარი პასუხზე	0.3%	1.0%	0.7%
	მიჭირს პასუხი		0.2%	0.1%
ესწრებოდა სხვა პატიმრის წამებას	დიახ	47.3%	55.7%	51.5%
	არა	52.2%	43.0%	47.6%
	უარი პასუხზე	0.5%	1.3%	0.9%
ესმოდა წამების ხმები	დიახ	78.9%	80.3%	79.6%
	არა	20.5%	18.6%	19.5%
	უარი პასუხზე	0.5%	1.2%	0.8%
	მიჭირს პასუხი	0.2%		0.1%

ცხრილი #9 გაგრძელება

პირადად თქვენ შეგემთხვათ თუ არა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტები?		ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
ადგილი ჰქონდა არაადამიანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობას	დიახ	62.9%	74.6%	68.7%
	არა	36.8%	23.9%	30.4%
	უარი პასუხზე	0.3%	1.2%	0.8%
	მიჭირს პასუხი		0.3%	0.2%
ადგილი ჰქონდა არაადეკვატურ სამედიცინო მომსახურებას	დიახ	71.7%	74.1%	72.9%
	არა	28.0%	24.6%	26.3%
	უარი პასუხზე	0.3%	1.2%	0.8%
	მიჭირს პასუხი		0.2%	0.1%
ადგილი ჰქონდა არაადამიანურ ღირსების შემლახავ პატიმრობის პირობებს	დიახ	70.5%	74.7%	72.6%
	არა	29.1%	23.9%	26.5%
	უარი პასუხზე	0.3%	1.2%	0.8%
	მიჭირს პასუხი		0.2%	0.1%

რესპონდენტების მონათხრობიდან იკვეთება, რომ ფიზიკური წამების ფაქტები არ წარმოადგენდა ერთი რომელიმე კონკრეტული სასჯელაღსრულებითი ან სხვა დაწესებულების პრაქტიკას, არამედ გავრცელებული იყო საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სტრუქტურებსა თუ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ **ფიზიკური წამების შემთხვევების 55%-ის და ფსიქოლოგიური წამების შემთხვევების 54%-ის ადგილად გლდანის სასჯელაღრულებითი დაწესებულება სახელდება.** რესპონდენტებმა გამოყვეს სხვა დაწესებულებებიც, სადაც ფიზიკური და ფსიქოლოგიური წამების შემთხვევები მეტ-ნაკლებად იყო გავრცელებული: ორთაჭალის ციხე, გეგუთის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება, ქსნის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება, რუსთავის კოლონიები და ბათუმის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება.

დეტალურად გამოკითხვის მონაცემები მოცემულია ცხრილებში #10 და #11:

ცხრილი #10: ფიზიკური წამების ადგილები

ლოკაცია	ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
ორთაჭალის ციხე	20.0%	9.%	14.1%
თბილისის პოლიციის იზოლატორი	2.0%	2.0%	2.0%
თბილისის პოლიციის სამმართველო/განყოფილება	0.7%	1.6%	1.2%
თბილისის საპატიმრო დაწესებულება	0.2%	-	0.1%
თბილისის უშიშროების იზოლატორი	0.2%	0.2%	0.2%
ქუთაისის სასჯელაღსრულების დაწესებულება	20.7%	17.8%	19.1%
აჭარის პოლიციის იზოლატორი	-	1.0%	0.7%
აჭარის პოლიციის სამმართველო/განყოფილება	-	0.2%	0.1%
აჭარის უშიშროების იზოლატორი	0.5%		0.2%
აჭარის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მიყვანისას		0.4%	0.2%
ბათუმის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	5.7%	6.1%	5.9%
გურიის პოლიციის იზოლატორი		0.2%	0.1%
გურიის პროკურატურის განყოფილება	0.2%		0.1%
ზუგდიდის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	4.7%	4.7%	4.7%
სამეგრელოს პოლიციის იზოლატორი	0.5%	1.0%	0.8%
სამეგრელოს პოლიციის სამმართველო/განყოფილება	0.2%	-	0.1%
გარდაბნის მუნიციპალიტეტის ქალთა სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	0.5%	4.3%	2.6%
იმერეთი–რაჭის პოლიციის იზოლატორი	-	0.8%	0.4%
იმერეთი–რაჭის პოლიციის სამმართველო/განყოფილება	-	0.4%	0.2%
იმერეთი–რაჭის პროკურატურის განყოფილება		0.2%	0.1%
გარდაბნის მუნიციპალიტეტი სოფელი მთისძირი	1.0%	14.4%	8.5%
თბილისი, გულუას 31	0.2%	2.2%	1.3%

ცხრილი #10 გაგრძელება

ლოკაცია	ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
ქვემო ქართლის პოლიციის იზოლატორი	-	0.4%	0.2%
ქვემო ქართლის პოლიციის სამმართველო/განყოფილება	-	0.4%	0.2%
გლდანის ციხე	56.5%	54.0%	55.1%
შიდა ქართლის პოლიციის იზოლატორი	-	0.4%	0.2%
შიდა ქართლის პოლიციის სამმართველო/განყოფილება	0.5%	0.2%	0.3%
„მატროსოვი“	3.0%	0.6%	1.6%
კახეთის პოლიციის იზოლატორი	0.2%	0.2%	0.2%
კახეთის პოლიციის სამმართველო/განყოფილება	0.2%	0.4%	0.3%
კახეთის უმიშროების იზოლატორი	1.0%		0.4%
ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონია	-	0.4%	0.2%
გეგუთის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	15.3%	7.9%	11.2%
ქსნის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	15.6%	10.9%	13.0%
რუსთავის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება #16	9.6%	10.5%	10.1%
რუსთავის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება #17	5.2%	5.7%	5.5%
„რეზბალნიცა“	1.2%	1.6%	1.4%
„ტუბი“	1.0%	5.3%	3.4%
„კუდი“	0.2%	0.4%	0.3%
ორთაჭალის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება (ძველი)	0.5%	1.2%	0.9%
„სოდი“	-	0.2%	0.1%
გუბერსკის ციხე (მეხუთე საგამოძიებო იზოლატორში)	0.2%	1.6%	1.0%
ხონი		0.2%	0.1%
უარი პასუხზე	0.2%	2.4%	1.4%
მიჭირს პასუხის გაცემა	-	0.4%	0.2%

ცხრილი #11: ფსიქოლოგიური წამების ადგილები

ლოკაცია	ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
ორთაჭალის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	18,4%	6,9%	12,8%
თბილისის პოლიციის იზოლატორი	1,7%	1,4%	1,6%
თბილისის პოლიციის სამმართველო/განყოფილება	1,0%	2,7%	1,8%
თბილისის უშიშროების იზოლატორი	0,2%	0,2%	0,2%
თბილისის პროკურატურის განყოფილება	0,6%	-	0,3%
ქუთაისის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	16,2%	18,2%	17,2%
აჭარის პოლიციის იზოლატორი	0,2%	1,0%	0,6%
აჭარის პოლიციის სამმართველო/განყოფილება	-	0,2%	0,1%
აჭარის საპატიმრო დაწესებულება	0,2%		0,1%
აჭარის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მიყვანისას	-	0,2%	0,1%
ბათუმის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	7,2%	5,7%	6,5%
გურიის პოლიციის იზოლატორი	0,2%	0,2%	0,2%
გურიის პროკურატურის განყოფილება	0,2%		0,1%
ზუგდიდის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	5,2%	5,7%	5,5%
სამეგრელოს პოლიციის იზოლატორი	0,8%	0,8%	0,8%
სამეგრელოს პოლიციის სამმართველო/განყოფილება	-	0,2%	0,1%
გარდაბნის მუნიციპალიტეტის ქალთა სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	2,7%	5,1%	3,9%
იმერეთი-რაჭის პოლიციის იზოლატორი	0,2%	0,4%	0,3%

ცხრილი #11 გაგრძელება

ლოკაცია	ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
იმერეთი-რაჭის პოლიციის სამმართველო/განყოფილება	-	0,4%	0,2%
გარდაბნის მუნიციპალიტეტ სოფელ მთისძირის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	1,7%	13,5%	7,4%
ქ. თბილის გულუას ქუჩა 31	0,6%	1,8%	1,2%
ქვემო ქართლის პოლიციის იზოლატორი	-	0,4%	0,2%
ქვემო ქართლის პოლიციის სამმართველო განყოფილება		0,4%	0,2%
გლდანის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	53,6%	53,9%	53,7%
შიდა ქართლის პოლიციის იზოლატორი	-	0,2%	0,1%
შიდა ქართლის პოლიციის სამმართველო/განყოფილება	0,4%	0,2%	0,3%
„მატროსოვი“	4,1%	0,6%	2,4%
კახეთის პოლიციის იზოლატორი	0,2%	0,2%	0,2%
კახეთის პოლიციის სამმართველო/განყოფილება	0,4%	0,2%	0,3%
კახეთის უშიშროების იზოლატორი	0,8%		0,4%
ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონია	-	0,4%	0,2%
გეგუთის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	14,3%	8,0%	11,2%
ქსნის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება	14,3%	10,8%	12,6%
რუსთავის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება #16	9,5%	10,0%	9,7%
რუსთავის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება #17	7,5%	5,1%	6,4%
„რეზბალნიცა“	1,7%	1,4%	1,6%

ცხრილი #11 გაგრძელება

ლოკაცია	ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
„ტუბი“	1,0%	5,3%	3,1%
დიღმის „კაპეზე“	0,4%		0,2%
„კუდი“	0,2%	0,6%	0,4%
ორთაჭალის სასჯელაღსრულებითი დაწესებულება (ძველი)	0,2%	0,8%	0,5%
„სოდი“	-	0,2%	0,1%
გუბერსკის ციხე, მეხუთე საგამოძიებო იზოლატორი	-	1,6%	0,8%
უარი პასუხზე	0,2%	2,2%	1,2%
მიჭირს პასუხის გაცემა	0,4%	0,4%	0,4%

რესპონდენტებს ეკითხებოდნენ, თუ ვინ ახორციელებდა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას (დასაშვები იყო რამდენიმე პასუხი). იკვეთება, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში **პატიმართა წამებას ძირითადად ციხის დირექციის მაღალი რანგის თანამშრომლები და ციხის რიგითი თანამშრომლები ახორციელებდნენ.**

როგორც ყოფილ, ასევე ამჟამინდელ პატიმრებს მიაჩნიათ, რომ ციხეებში პატიმართა წამება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, პრეზიდენტის ადმინისიტრაციის, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინსიტროს დავალებით ხდებოდა. იხ. დიაგრამა #4:

დიაგრამა #4

თქვენი აზრით, ვისი/რომელი უწყების დავალებით ხდებოდა ციხეებში პატიმართა წამება?



4.3 წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ინტენსივობა

იმ რესპონდენტებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ესა თუ ის ფაქტი შეემთხვათ, ეკითხებოდნენ, რამდენჯერ შეემთხვათ მათ მიერ დასახელებული ფაქტები (ინტენსივობის გასაზომად გამოიყენებოდა შემდეგი სკალა: „თითქმის ყოველდღე", „კვირაში ერთხელ მაინც", „თვეში რამდენჯერმე", „3 თვეში ერთხელ მაინც", „წელიწადში ერთი-ორჯერ", „უფრო იშვიათად", „საერთოდ არ ჰქონია ადგილი"). ქვემთ მოტანილია ინტენსივობის მაჩვენებლები წამებისა და არაადამიანური მოპყრობის იმ ფაქტებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტად იყო გავრცელებული საქართველოს პენიტენციურ სისტემაში (რაზეც ზემოთ იყო საუბარი).

იმ ადამიანთა 39%, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ წამებას, აღნიშნავს, რომ მათ **ფიზიკურად თითქმის ყოველდღე აწამებდნენ.** ამჟამინდელი პატიმრების 54% და ყოფილი პატიმრების 24% აცხადებს, რომ მათ თითქმის ყოველდღე აწამებდნენ ფიზიკურად. გამოკითხულთა 15% აღნიშნავს, რომ მათ ფიზიკურად კვირაში ერთხელ მაინც აწამებდნენ. ამჟამინდელი პატიმრების 13% და ყოფილი პატიმრების 18% აღნიშნავს იმავეს.

იმ ადამიანთა გამოკვეთილი უმრავლესობა (64%), რომლებიც აცხადებენ, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ წამებას აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელს **თითქმის ყოველდღე განიცდიდა.** ამჟამინდელი პატიმრების 70% და ყოფილი პატიმრების 58% ამბობს, რომ ისინი ფსიქოლოგიურ წამებას თითქმის ყოველდღე განიცდიდნენ. 12% აღნიშნავს, რომ კვირაში ერთხელ მაინც განიცდიდნენ ფსიქოლოგიურ წამებას. ამჟამინდელი პატიმრების 5% და ყოფილი პატიმრების 19% ამბობს იმავეს..

იმ ადამიანთა 27%, რომლებიც ამბობენ, რომ ესწრებოდნენ მეგობრის წამებას (იგულისხმება თანამესაკნეც) აცხადებს, რომ ამ უკანასკნელს თითქმის ყოველდღე ესწრებოდა. ამჟამინდელი პატიმრების 34% და ყოფილი პატიმრების 21% ამბობს, რომ მეგობრის წამებას თითქმის ყოველდღე ესწრებოდა. 11% აცხადებს, რომ მეგობრის წამებას ესწრებოდა კვირაში ერთხელ მაინც. ამჟამინდელი პატიმრების 9% და ყოფილი პატიმრების 13% ამბობს იმავეს.

იმ რესპონდენტთა 23%, რომლებიც ამბობენ, რომ ესწრებოდნენ სხვა პატიმრების წამებას აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელს თითქმის ყოველდღე ესწრებოდნენ. ამას ამჟამინდელი პატიმრები 31% და ყოფილი პატიმრების 16% აცხადებს; 12% ამბობს, რომ სხვების წამებას ესწრებოდნენ კვირაში ერთხელ მაინც (ამჟამინდელი პატიმრების 10% და ყოფილი პატიმრების 14% ამბობს იმავეს).

იმ გამოკითხულთა უმრავლესობა 54% რომლებიც, აცხადებენ, რომ ესმოდათ წამების ხმები აღნიშნავს, რომ წამების ხმები თითქმის ყოველდღე ესმოდათ. ამას ამჟამინდელი პატიმრების 64% და ყოფილი პატიმრების 43% აცხადებს. 16% ამბობს, რომ წამების ხმები ესმოდათ კვირაში ერთხელ მაინც (ამჟამინდელი პატიმრების 7% და ყოფილი პატიმრების 24% ამბობს იმავეს).

იმ რესპონდენტთა უმრავლესობა (53%) რომლებიც ამბობენ, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა არაადამიანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობას, აცხადებს, რომ ეს თითქმის ყოველდღე ხდებოდა. ამჟამინდელი პატიმრების ჯგუფში 63% და

იმ რესპონდენტებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ესა თუ ის ფაქტი შეემთხვათ, ეკითხებოდნენ, რამდენჯერ შეემთხვათ მათ მიერ დასახელებული ფაქტები (ინტენსივობის გასაზომად გამოიყენებოდა შემდეგი სკალა: „თითქმის ყოველდღე“, „კვირაში ერთხელ მაინც“, „თვეში რამდენჯერმე“, „3 თვეში ერთხელ მაინც“, „წელიწადში ერთი-ორჯერ“, „უფრო იშვიათად“, „საერთოდ არ ჰქონია ადგილი“). ქვემთ მოტანილია ინტენსივობის მაჩვენებლები წამებისა და არაადამიანური მოპყრობის იმ ფაქტებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტად იყო გავრცელებული საქართველოს პენიტენციურ სისტემაში (რაზეც ზემოთ იყო საუბარი).

იმ ადამიანთა 39%, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ წამებას, აღნიშნავს, რომ მათ **ფიზიკურად თითქმის ყოველდღე აწამებდნენ.** ამჟამინდელი პატიმრების 54% და ყოფილი პატიმრების 24% აცხადებს, რომ მათ თითქმის ყოველდღე აწამებდნენ ფიზიკურად. გამოკითხულთა 15% აღნიშნავს, რომ მათ ფიზიკურად კვირაში ერთხელ მაინც აწამებდნენ. ამჟამინდელი პატიმრების 13% და ყოფილი პატიმრების 18% აღნიშნავს იმავეს.

იმ ადამიანთა გამოკვეთილი უმრავლესობა (64%), რომლებიც აცხადებენ, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ წამებას აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელს **თითქმის ყოველდღე განიცდიდა.** ამჟამინდელი პატიმრების 70% და ყოფილი პატიმრების 58% ამბობს, რომ ისინი ფსიქოლოგიურ წამებას თითქმის ყოველდღე განიცდიდნენ. 12% აღნიშნავს, რომ კვირაში ერთხელ მაინც განიცდიდნენ ფსიქოლოგიურ წამებას. ამჟამინდელი პატიმრების 5% და ყოფილი პატიმრების 19% ამბობს იმავეს..

იმ ადამიანთა 27%, რომლებიც ამბობენ, რომ ესწრებოდნენ მეგობრის წამებას (იგულისხმება თანამესაკნეც) აცხადებს, რომ ამ უკანასკნელს თითქმის ყოველდღე ესწრებოდა. ამჟამინდელი პატიმრების 34% და ყოფილი პატიმრების 21% ამბობს, რომ მეგობრის წამებას თითქმის ყოველდღე ესწრებოდა. 11% აცხადებს, რომ მეგობრის წამებას ესწრებოდა კვირაში ერთხელ მაინც. ამჟამინდელი პატიმრების 9% და ყოფილი პატიმრების 13% ამბობს იმავეს.

იმ რესპონდენტთა 23%, რომლებიც ამბობენ, რომ ესწრებოდნენ სხვა პატიმრების წამებას აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელს თითქმის ყოველდღე ესწრებოდნენ. ამას ამჟამინდელი პატიმრები 31% და ყოფილი პატიმრების 16% აცხადებს; 12% ამბობს, რომ სხვების წამებას ესწრებოდნენ კვირაში ერთხელ მაინც (ამჟამინდელი პატიმრების 10% და ყოფილი პატიმრების 14% ამბობს იმავეს).

 იმ გამოკითხულთა უმრავლესობა 54% რომლებიც, აცხადებენ, რომ ესმოდათ წამების ხმები აღნიშნავს, რომ წამების ხმები თითქმის ყოველდღე ესმოდათ. ამას ამჟამინდელი პატიმრების 64% და ყოფილი პატიმრების 43% აცხადებს. 16% ამბობს, რომ წამების ხმები ესმოდათ კვირაში ერთხელ მაინც (ამჟამინდელი პატიმრების 7% და ყოფილი პატიმრების 24% ამბობს იმავეს).

 იმ რესპონდენტთა უმრავლესობა (53%) რომლებიც ამბობენ, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა არაადამიანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობას, აცხადებს, რომ ეს თითქმის ყოველდღე ხდებოდა. ამჟამინდელი პატიმრების ჯგუფში 63% და ყოფილი პატიმრების ჯგუფში 43% ამბობს იმავეს. გამოკითხულთა 9% ამბობს, რომ კვირაში ერთხელ მაინც ადგილი ჰქონდა არაადამიანურ, ღირსებისშემლახავ მოპყრობას (ამჟამინდელი პატიმრების 4% და ყოფილი პატიმრების 14% აცხადებს იმავეს).

იმ რესპონდენტთა 47%, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა არაადეკვატურ სამედიცინო მომსახურებას, აცხადებს, რომ თითქმის ყოველდღე განიცდიდნენ ამას. არაადეკვატურ სამედიცინო მოსახურებაზე ამჟამინდელი პატიმრების 85% და ყოფილი პატიმრების 35% მიუთითებს. რესპონდენტთა 11% აცხადებს, რომ არაადეკვატურ სამედიცინო მომსახურებას კვირაში ერთხელ მაინც ჰქონდა ადგილი (ამჟამინდელი პატიმრების 5% და ყოფილი პატიმრების 16% აცხადებს იმავეს).

დეტალურად კვლევის შედეგები იხ. დიაგრამაზე #5:

დიაგრამა #5



რესპონდენტთა მონათხრობიდან იკვეთება, რომ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას ყველა კატეგორიის პატიმრები ექვემდებარებოდნენ (იხ. დიაგრამა #6):

დიაგრამა #6

თქვენი აზრით, ძირითადად რომელი კატეგორიის პატიმრები ექვემდებარებოდნენ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას?



რესპონდენტებს 5 ბალიან სკალაზე, 1–იდან 5 ქულამდე (სადაც 1 აღნიშნავს „სრულიად უმნიშვნელოა“, ხოლო 5 – „ძალზე მნიშვნელოვანია“), უნდა შეეფასებინათ, თუ რამდენად იყო ესა თუ ის ფაქტორი პენიტენციურ სისტემაში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მიზანი (მოცემულ სკალაზე ნეიტრალური წერტილია 3. საშუალო მონაცემები (Mean), რომლებიც 3-ზე მეტია, შეესაბამება ამა თუ იმ ფაქტორის მაღალი მნიშვნელოვნების ველს, ხოლო 3-ზე ნაკლები მონაცემები - დაბალი მნიშვნელოვნების ველს).

რესპონდენტთა უმრავლესობის მოსაზრებით, პატიმრების წამება და არაადამიანური მოპყრობა, ძირითადად, შემდეგი მიზნებით ხდებოდა:

- საპატიმროებში საყოველთაო შიშის დანერგვა;
- პიროვნების დამორჩილება/დათრგუნვა;
- მწამებელთა ან წამების ორგანიზატორთა მიერ სიამოვნების მიღება;
- იმ დანაშაულის აღიარება, რომელიც არ ჩაუდენიათ;
- დანაშაულის აღიარება;
- ქურდულ სამყაროსთან ბრძოლა;
- პატიმრის ფსიქიკისა და ჯანმრთელობის დაზიანება.
- პატიმრისთვის აგენტად თანამშრომლობის იძულება;

ყველა ეს ფაქტორი მოექცა ძალზე მაღალი მნიშვნელოვნების ველში, ანუ გამოკითხულთა უმრავლესობამ მათ მაქსიმალური (5) ქულა მიანიჭა.

ქვემოთ მოტანილია იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებლები, რომლებმაც ამა თუ იმ ფაქტორს მიანიჭეს მაქსიმალური ქულა (5) მნიშვნელოვნების სკალაზე:

1. საპატიმროებში საყოველთაო შიშის დანერგვა (ამ ფაქტორს რესპონდენტთა 85.5%-მა მიანიჭა მაქსიმალური (5) ქულა);
2. პიროვნების დამორჩილება/დათრგუნვა (80.2% ანიჭებს მაქსიმალურ ქულას);
3. მწამებელთა ან წამების ორგანიზატორთა მიერ სიამოვნების მიღება (60% ანიჭებს მაქსიმალურ ქულას);
4. იმ დანაშაულის აღიარება, რომელიც არ ჩაუდენიათ (57.5% ანიჭებს მაქსიმალურ ქულას);
5. პატიმრის ფსიქიკისა და ჯანმრთელობის დაზიანება (57%-მდე ანიჭებს მაქსიმალურ ქულას);
6. ქურდულ სამყაროსთან ბრძოლა (56.8% ანიჭებს მაქსიმალურ ქულას);
7. დანაშაულის აღიარება (55.5% ანიჭებს მაქსიმალურ ქულას);
8. პატიმრისთვის აგენტად თანამშრომლობის იძულება (51.4% ანიჭებს მაქსიმალურ ქულას).

გარდა ამისა, მაღალი მნიშვნელოვნების ველში (Mean > 3-ზე) მოექცა შემდეგი ფაქტორები:

- საერთაშორისო დონეზე განაჩენის გასაჩივრებაზე უარის თქმა (ამ ფაქტორს რესპონდენტთა 48.2% ანიჭებს 5 ქულას);
- სხვა პირ(ებ)ის ან ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიღება (რესპონდენტთა 47%-მდე ანიჭებს 5 ქულას);
- სხვა პირის წინააღმდეგ ყალბი ჩვენების მიცემა (რესპონდენტთა 41.7% ანიჭებს 5 ქულას);
- საპროცესო გარიგებაზე დათანხმება (41.5% ანიჭებს 5 ქულას);
- ფულის ან ქონების გამოძალვა (36%-მდე ანიჭენს 5 ქულას);
- ადგილობრივ დონეზე განაჩენის გასაჩივრებაზე უარის თქმა (37.3% ანიჭენს 5 ქულას);
- პატიმრის ან მისი ოჯახის წევრების პოლიტიკურ შეხედულებებზე ზემოქმედება (30.4% ანიჭენს 5 ქულას).

როგორც ამუამინდელი, ისე ყოფილი პატიმრების ჯგუფებში დაბალი მნიშვნელობის მქონე ფაქტორებად (Mean < 3-ზე) დასახელდა: ა) რელიგიური მრწამსის შეურაცხყოფა; ბ) ეთნიკური კუთვნილების შერაცხყოფა და გ) ხელისუფლების წინააღმდეგ კომპრომატების მომზადება.

ყოფილ პატიმრებში დაბალი მნიშვნელობის მქონე ფაქტორებად დასახელდა, აგრეთვე, პატიმრის გარდაცალება (Mean=2.6), ხოლო ისეთი ფაქტორი, როგორიცაა პატიმრის თვითმკველობამდე მიყვანა, ნეიტრალურ წერტილში მოექცა (Mean=3). ახლანდელ პატიმრებში ორივე ამ ფაქტორის საშუალო მნიშვნელობა 3-ზე მეტია (განსაკუთრებით, ეს ეხება პატიმრის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტორს (Mean=4.1-ს)

დეტალურად, თითოეული ფაქტორის საშუალო მონაცემები (Mean) იხ. დიაგრამაზე #7:

თქვენი აზრით, რამდენად იყო წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მიზანი ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები? (საშუალო)

დიაგრამა #7


ინფორმაციის მიღება
3.78
4.14
დანაშაულის აღიარება
3.89
4.40
აღიარება დანაშაულის,რომელიც არ ჩაუდენია
3.94
4.49
ყალბი ჩვენების მიცემა
3.65
3.97
ფულის ან ქონების გამოძალვა
3.45
3.66
საპროცესო გარიგება
3.61
3.88
პიროვნების დამორჩილება
4.73
4.86
სიამოვნების მიღება
4.19
4.51
პოლიტიკურ შეხედულებებზე ზემოქმედება
3.31
3.40
ქურდულ სამყაროსთან ბრძოლა
4.13
4.31
ხელისუფლების წინააღმდეგ კომპრომატების მომზადება
2.59
2.64
საპიტიმროებში შიშის დანერგვა
4.81
4.95
აგენტად თანამშრომლობის იძულება
3.79
4.39
თვითმკვლელობამდე მიყვანა
2.99
4.06
ფსიქიკის და ჯანმრთელობის დაზიანება
3.79
4.59
გარდაცვალება
2.59
3.54
ადგილობრივ დონეზე განაჩენის ასაჩივრებაზე უარის თქმა
3.13
3.81
საერთაშორისო დონეზე განაჩენის გასაჩივრებაზე უარის თქმა
3.53
4.22
რელიგიური მრწამსის შეურაცხყოფა
1.88
2.62
ეთნიკური კუთვნილების შეურაცხყოფა
1.67
2.56
ყოფილი პატიმარი
პატიმარი

გამოკითხულთა შორის დაახლოებით ყოველი მეორე აცხადებს, რომ იმ პატიმრებს, რომლებსაც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნათ, ძირითადად, **არანაირი სამედიცინო დახმარება არ უტარდებოდათ;** 38% კი აღნიშნავს, რომ პატიმრებს ძირითადად ზედაპირული სამედიცინო დახმარება უტარდებოდათ. 11%–ს აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს; მხოლოდ 1.1% აღნიშნავს, რომ პატიმრებს სრულყოფილი სამედიცინო დამხარება უტარდებოდათ. იხ. დიაგრამა #8:

დიაგრამა #8

უტარდებოდათ თუ არა სამედიცინო დახმარება იმ პატიმრებს, რომლებსაც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად შეექმნათ ჯანმრთელობის პრობლემები?



6. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგები

აღწევდა თუ არა პატიმრების წამება და არაადამიანური მოპყრობა იმ მიზნებს, რომლებსაც ის, რესპონდენტთა შეფასებით, ისახავდა? რესპონდენტებს შეეძლოთ გაემჟღავნებინათ, პირადად იცნობდნენ თუ არა ვინმეს, ვისაც შეემთხვა, ან თავად შეემთხვათ თუ არა შემდეგი ფაქტები წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად:

- გასცა ინფორმაცია სხვა პირ(ებ)ის ან ფაქტის შესახებ
- დაიბრალა დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია
- სხვას დააბრალა დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია
- მიიღო მონაწილეობა სხვა პატიმრების წამებაში
- გადაიხადა ფული ან დათმო ქონება
- დათანხმდა საპროცესო გარიგებას
- მან ან მისმა ოჯახის წევრებმა დაფარეს საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები
- უარი თქვა ქურდული სამყაროს წევრობაზე
- დაიწყო ციხის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა
- გახდა ცრუ მოწმე
- ჩაიდინა თვითმკვლელობა/ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა
- ფსიქიკურად დაავადდა
- ფიზიკურად დაზიანდა
- გარდაიცვალა

6.1. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ყველაზე მეტად გავრცელებული შედეგები

გამოკითხვა აჩვენებს, რომ წამება და არაადამიანური მოპყრობა ყველაზე მეტად დაუკავშირდა ისეთ შედეგებს, როგორიცაა:

- გადაიხადა ფული ან დათმო ქონება
- დათანხმდა საპროცესო გარიგებას
- დაიბრალა დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია
- ჩაიდინა თვითმკვლელობა/ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა
- ფსიქიკურად დაავადდა
- მიიღო ფიზიკური დაზიანება
- დაიწყო ციხის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა

უფრო კონკრეტულად შედეგები ასეთია:

6.1.1. მიიღო ფიზიკური დაზიანება

გამოკითხულთა უმრავლესობა 59% ამბობს, რომ ბევრ (n≥6) ისეთ ადამიანს იცნობს, ვინც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად ფიზიკური დაზიანება მიიღო. გარკვეული დისბალანსია ამ თვალსაზრისით ყოფილ და ამჟამინდელ პატიმრებს შორის: ამჟამინდელი პატიმრების 70.7% და ყოფილი პატიმრების 47.3% აღნიშნავს, რომ პირადად იცნობს ფიზიკური ზიანის მქონე ბევრ ადამიანს. დამატებით, ყოფილი პატიმრების 26% და ამჟამინდელი პატიმრების 9.2% ამბობს, რომ რამდენიმე (2-5 ადამიანის ფარგლებში) ისეთ ადამიანს იცნობს პირადად, ვინც ფიზიკური დაზიანება მიიღო.

საკმაოდ მძიმეა რესპონდენტთა პირადი გამოცდილებაც: ამჟამინდელი პატიმრების 60%-მდე და ყოფილი პატიმრების 38.7% აღნიშნავს, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად თავად მიიღეს ფიზიკური დაზიანება. იხ. დიაგრამა #9:

დიაგრამა #9



6.1.2. დაავადდა ფსიქიკურად

თითქმის ყოველი მეორე გამოკითხული (49%.1%) აცხადებს, რომ ბევრ ისეთ ადამიანს იცნობს, ვინც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად ფსიქიკურად დაავადდა. ამჟამინდელი პატიმრებს შორის გაცილებით მეტი ამბობს ამას (69%), ყოფილ პატიმრებთან შედარებით (36%). დამატებით, ყოფილ პატიმრებს შორის დაახლოებით ყოველი მესამე გამოკითხული (31.6%) და ამჟამინდელი პატიმრების 12.9% აღნიშნავს, რომ იცნობს რამდენიმე ისეთ ადამიანს, ვინც ფსიქიკურად დაავადდა.

რაც შეეხება რესპონდენტთა საკუთარ გამოცდილებას, ამჟამინდელი პატიმრების 43% და ყოფილი პატიმრების 22% აღნიშნავს, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად ფსიქიკურად დაავადნენ. იხ. დიაგრამა #10:

დიაგრამა #10



6.1.3. არჩადენილი დანაშაულის დაბრალება

გამოკითხულთა შორის, ყოველი მესამე ადამიანი (33.3%) ამბობს, რომ ბევრ ადამიანს (6 და მეტი) იცნობს ისეთს, ვინც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად დაიბრალა დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია. ხოლო, 23.2% ამბობს, რომ რამდენიმე (2-დან 5-მდე) ადამიანს იცნობს ისეთს, ვინც დანაშაული დაიბრალა.
ამჟამინდელ პატიმრებს შორის, ყოფილ პატიმრებთან შედარებით, მაღალია იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ ბევრ ადამიანს იცნობენ ისეთს, ვინც დანაშაული დაიბრალა (ამჟამინდელი პატიმრების 37% და ყოფილი პატიმრების 30%).

რაც შეეხება თავად რესპონდენტთა საკუთარ გამოცდილებას ამ კონტექსტში, გამოკითხვა აჩვენებს, რომ ამჟამინდელი პატიმრების 27% და ყოფილი პატიმრების 13% აღნიშნავს, რომ მათ მოუწიათ იმ დანაშაულის დაბრალება, რომელიც არ ჩაუდენიათ. იხ. დიაგრამა #11:

დიაგრამა #11



6.1.4. ფულის გადახდა ან ქონების დათმობა

გამოკითხულთა შორის დაახლოებით ყოველი მესამე ადამიანი (35.2%), ამბობს რომ იცნობს ბევრ ისეთ ადამიანს, ვინც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად გადაიხადა ფული ან დათმო ქონება (ამჟამინდელ და ყოფილ პატიმრებს შორის ეს მაჩვენებელი თითქმის თანაბარია). დამატებით, ყოფილი პატიმრების 28.1%, ხოლო ახლანდელი პატიმრების 13.4% ამბობს, რომ რამდენიმე ასეთ ადამიანს იცნობს.

ამჟამინდელი პატიმრების 12% და ყოფილი პატიმრების 8% აღნიშნავს, რომ თავად მათაც შეემთხვათ მსგავსი ფაქტი - გადაიხადეს ფული/ დათმეს ქონება. იხ. დიაგრამა #12:

დიაგრამა #12



6.1.5. თანხმობა საპროცესო გარიგებაზე

გამოკითხულთა 48% აღნიშნავს, რომ ბევრ ადამიანს იცნობს ისეთს, ვინც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად დათანხმდა საპროცესო გარიგებას (ამჟამინდელი პატიმრების 51% და ყოფილი პატიმრების 44% ამბობს იმავეს). დამატებით, ყოველი მეოთხე ყოფილი პატიმარი, ხოლო ამჟამინდელი პატიმრების 13.2% ამბობს, რომ იცნობს რამდენიმე ადამიანს, ვინც დათანხმდა საპროცესო გარიგებას წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად.

საინტერესოა, რომ ახლანდელი და ყოფილი პატიმრების დაახლოებით თანაბარი რაოდენობა (14-15%-ის ფარგლებში) აცხადებს, რომ, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად, თავად დათანხმდნენ საპროცესო გარიგებას. იხ. დიაგრამა #13:

დიაგრამა #13



6.1.6. თანამშრომლობა ციხის ადმინისტრაციასთან

ყოველი მესამე გამოკითხული რესპონდენტი (33.5%) აცხადებს, რომ ბევრ ისეთ ადამიანს იცნობს, ვინც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად ციხის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა დაიწყო (ამჟამინდელი პატიმრების 35% და ყოფილი პატიმრების 32.3% ამბობს იმავეს). დამატებით ყოველი მეხუთე (21.1%) პატიმარი და ამჟამინდელი პატიმრების 15.1% აცხადებს, რომ ასეთი შემთხვევის მქონე რამდენიმე ადამიანს იცნობს.

ამჟამინდელი პატიმრების 4%-მდე აცხადებს, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად თავად მათ მოუწიათ თანამშრომლობა ციხის ადმინისტრაციასთან; ყოფილ პატიმართა შორის ასეთთა წილი უმნიშვნელოა (0.7%). იხ. დიაგრამა #14:

დიაგრამა #14



6.1.7. თანხმობა საპროცესო გარიგებაზე

ამჟამინდელ პატიმრებს შორის, დაახლოებით ყოველი მესამე გამოკითხული (31.6%) ამბობს, რომ ბევრ ისეთ ადამიანს იცნობს, ვინც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად ჩაიდინა თვითმკვლელობა ან ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა; ყოფილ პატიმართა შორის ასეთთა ხვედრიტი წილია 19.3%. დამატებით, ყოფილ პატიმართა 26.5%, ხოლო ამჟამინდელ პატიმართა 21.4% აღნიშნავს, რომ თვითმკვლელობის ან თვითმკვლელობის მცდელობის ჩამდენ რამდენიმე ადამიანს იცნობს.

ამჟამინდელი პატიმრების 17% და ყოფილი პატიმრების 4% ამბობს, რომ, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად, თავად ჰქონია თვითმმკვლელობის მცდელობა. იხ. დიაგრამა #15:

დიაგრამა #15



6.2. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ყველაზე ნაკლებად გავრცელებული შედეგები

გამოკითხვა აჩვენებს, რომ წამება და არაადამიანური მოპყრობა ყველაზე ნაკლებად დაუკავშირდა ისეთ შედეგებს, როგორიცაა:

- ინფორმაციის გაცემა სხვა პირ(ებ)ის ან ფაქტების შესახებ;
- სხვისთვის დანაშაულის დაბრალება, რომელიც (ამ სხვას) არ ჩაუდენია;
- სხვა პატიმრების წამებაში მონაწილეობის მიღება;
- პოლიტიკური შეხედულებების დაფარვა პატიმრის (ან მისი ოჯახის წევრების) მიერ.

რესპონდენტთა უმრავლესობა აცხადებს, რომ, ერთი მხრივ, არავის იცნობს ისეთს, ვინც ასეთი რამ ჩაიდინა, ხოლო, მეორე მხრივ, არც თავად ჩაუდენია მსგავსი რამ.

უფრო კონკრეტულად შედეგები ასეთია:

6.2.1. ინფორმაციის გაცემა სხვა პირ(ებ)ის ან ფაქტების შესახებ

გამოკითხულთა 54% აღნიშნავს, რომ პირადად არავის იცნობს ისეთს, ვინც გასცა ინფორმაცია სხვა პირ(ებ)ის ან ფაქტების შესახებ. იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებიც ამბობენ, რომ ბევრ ასეთ ადამიანს იცნობენ, თანაბარია (17%-ის ფარგლებში თითოეული). ამ საკითხზე ამჟამინდელი და ყოფილი პატიმრების ჯგუფებში მსგავსი ტენდენციაა.

რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა (93%) აცხადებს, რომ თავად მათ არ გაუციათ ინფორმაცია სხვა პირ(ებ)ის ან ფაქტების შესახებ. მცირეა იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებიც ღიად ამბობენ, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად მათ სხვა პირ(ებ)ის ან ფაქტების შესახებ ინფორმაცია გასცეს. ამჟამინდელ პატიმრებში ასეთია 5%, ხოლო ყოფილ პატიმრებში - 0.3% (იხ. დიაგრამა #16):

დიაგრამა #16



6.2.2. სხვისთვის დანაშაულის დაბრალება, რომელიც (ამ სხვას) არ ჩაუდენია

გამოკითხულთა უმრავლესობა (55%) აცხადებს, რომ არავის იცნობს ისეთს, ვინც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად სხვას დააბრალა დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია; 19% რამდენიმე ასეთ ადამიანს იცნობს, ხოლო 18% აცხადებს, რომ ბევრ ადამიანს იცნობს, ვინც სხვას დააბრალა დანაშაული.

ამჟამინდელ პატიმრებთან შედარებით, ყოფილ პატიმრებს შორის მაღალია იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებიც ამბობენ, რომ არავის იცნობენ ისეთს, ვინც სხვას დააბრალა დანაშაული (ყოფილი პატიმრების 60% და ამჟამინდელი პატიმრების 49%).
პრაქტიკულად ნულოვანია იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, ვინც აცხადებს, რომ თავად დააბრალა სხვას ჩაუდენელი დანაშაული: ამჟამინდელი პატიმრების 2.6% და ყოფილი აპტიმრების მხოლო 1% აცხადებს ამას. საგულისმოა, რომ რესპონდენტთა 4.6% აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარს აცხადებს. იხ. დიაგრამა #17

დიაგრამა #17



6.2.3. სხვა პატიმრების წამებაში მონაწილეობის მიღება

გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლესობა (69%) აცხადებს, რომ არავის იცნობს ისეთს, ვინ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად მონაწილეობა მიიღო სხვა პატიმრების წამებაში. იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებიც ამბობენ, რომ ბევრ ისეთ ადამიანს იცნობენ, ვინც მონაწილეობა მიიღო სხვა პატიმრების წამებაში თანაბარია როგორც ყოფილ, ისე ამჟამინდელ პატიმრებში და 8-9%–ის ფარგლებში მერყეობს.

გამოკითხულთა 7% უარს აცხადებს უპასუხოს კითხვას, თავად მიუღია თუ არა მონაწილეობა სხვა პატიმრების წამებაში. ამჟამინდელი პატიმრების მხოლოდ 1.5% და ყოფილი პატიმრების მხოლოდ 0.3% ამბობს, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს სხვა პატიმრების წამებაში. იხ. დიაგრმა #18

დიაგრამა #18



6.2.4. პოლიტიკური შეხედულებების დაფარვა პატიმრის (ან მისი ოჯახის წევრების) მიერ

გამოკითხულთა 56% აცხადებს, რომ არავის იცნობენ ისეთს, ვინც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად დაფარა (მან ან მისმა ოჯახის წევრებმა) საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები. თუმცა, საგულისხმოა, რომ ყოფილ პატიმრებს შორის ყოველი მეოთხე მაინც (26.3%), ხოლო ამჟამინდელ პატიმრებს შორის ყოველი მეხუთე მაინც (21.6%) ამბობს, რომ ბევრ ადამიანს (6 და მეტი) იცნობენ ისეთს, მათ ან მათი ოჯახის წევრებმა პოლიტიკური შეხედულებები რომ დაფარეს.

რაც შეეხება საკუთარ გამოცდილებას, ამჟამინდელი პატიმრების 7.1% და ყოფილი პატიმრების 7.7% აცხადებს, რომ მათ ან მათმა ოჯახის წევრებმა დაფარეს პოლიტიკური შეხედულებები. იხ. დიაგრამა #19:

დიაგრამა #19



6.2.5. ქურდული სამყაროს წევრობაზე უარის თქმა

გამოკითხულთა უმრავლესობა (69%) აცხადებს, რომ არავის იცნობს ისეთს, ვინც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად უარი თქვა ქურდული სამყაროს წევრობაზე. ამჟამინდელ პატიმართა 17% და ყოფილ პატიმართა 13% აღნიშნავს, რომ ბევრ ადამიანს იცნობენ ისეთს, ვინც უარი თქვა ქურდული სამყაროს წევრობაზე. საინტერესოა, რომ ამჟამინდელ პატიმართა 3%-მა, მათივე განცხადებით, უარი თქვა ქურდული სამყაროს წევრობაზე. იხ. დიაგრამა #20:

დიაგრამა #20



6.2.6. ცრუ მოწმედ გახდომა

გამოკითხულთა უმრავლესობა (54.4%) ამბობს, რომ არავის იცნობს ისეთს, ვინც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად ცრუ მოწმე გახდა. როგორც ყოფილ პატიმრებს, ასევე ამჟამინდელ პატიმრებს შორის ადამიანთა დაახლოებით თანაბარი რაოდენობა (22-23%-ის ფარგლებში) აცხადებს, რომ ბევრ ისეთ ადამიანს იცნობს, ვინც ცრუ მოწმე გახდა; ხოლო, იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებიც ამბობენ, რომ რამდენიმე ადამიანს იცნობენ, ვინც ცრუ მოწმე გახდა, ორივე ჯგუფში 15–16%–ს შეადგენს.

პრაქტიკულად ნულოვანია იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი (როგორც ყოფილ, ისე ამჟამინდელ პატიმრებში), ვინც აცხადებს, რომ ცრუ მოწმე გახდა. იხ. დიაგრამა #21:

დიაგრამა #21



6.2.7. გარდაცვალება

რესპონდენტთა უმრავლესობა (53%) აცხადებს, რომ პირადად არავის იცნობს ისეთს, ვინც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად გარდაიცვალა.

თუმცა, საკმაოდ მნიშვნელოვანია იმ გამოკითხულთა წილი, რომლებიც პირადად იცნობდნენ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად გარდაიცვლილ ადამიანს: როგორც ყოფილი, ისე ამჟამინდელი პატიმრების ჯგუფებში დაახლოებით 30%-ია (თითოეულში) იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებიც ამბობენ, რომ რამდენიმე ან ბევრ ისეთ ადამიანს იცნობენ, ვინც წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად გარდაიცვალა. იხ. დიაგრამა #22:

დიაგრამა #22



გამოკითხვამ კიდევ ერთი საინტერესო შედეგი აჩვენა: რესპონდენტთა უმრავლესობა (62.3%) აცხადებს, რომ მათი ოჯახის წევრებმა მათ მიმართ განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ არ იცოდნენ. ამ თვალსაზრისით, განსხვავება მინიმალურია ამჟამინდელ და ყოფილ პატიმრებს შორის (შესაბამისად, 63.7% და 60.9% ამბობს იმავეს),

ყოფილი პატიმრების მხოლოდ 10.2% და ამჟამინდელი პატიმრების 15.6% აცხადებს, რომ ოჯახის წევრებს მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ ინფორმაცია ჰქონდათ. საინტერესოა, რომ გამოკითხულთა 6.2% უარს აცხადებს უპასუხოს აღნიშნულ კითხვას. იხ. დიაგრამა #23:

დიაგრამა #23



6.3. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფოტო და ვიდეო დოკუმენტირება

ყოველი მეორე გამოკითხული (51.5%), ვისაც შეემთხვა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტ(ებ)ი, აცხადებს, რომ პირადად მათი წამების ფოტო და ვიდეო დოკუმენტირება არ ხდებოდა (ყოფილ პატიმრებში ამას თითქმის 56% აღნიშნავს, ხოლო ამჟამინდელ პატიმრებში - 47%). იხ. დიაგრამა #24:

დიაგრამა #24

ხდებოდა თუ არა პირადად თქვენი წამების ფოტო და ვიდეო – დოკუმენტირება?



გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების **ფოტო/ვიდეო დოკუმენ-ტირების მიზანი** იყო:

- პატიმრის დამცირება, ღირსების შელახვა - ამაზე მიუთითებს ყოფილი პატიმრების 84.7% და ამჟამინდელი პატიმრების 79.3%;
- მწამებელთა და წამების ორგანიზატორთა მიერ სიამოვნების მიღება - ამას ეთანხმება ყოფილი პატიმრების 69.5% და ამჟამინდელი პატიმრების 64.7%.
- პატიმრის ან მისი ოჯახის წევრისთვის რაიმე ქმედების იძულება (აგენტად გადმობირება, პოლიტიკური შეხედულების შეცვლა, ფულის/ქომების გამოძალვა და სხვ.) - ამას ეთანხმება ყოფილი პატიმრების 66.2% და ამჟამინდელი პატიმრების 59.7%;
- სხვა პატიმრებისთვის ფოტო/ვიდეო მასალის ჩვენებით მათი დამორჩილება/დათრგუნვა - ყოფილი პატიმრების 64.7% და ამჟამინდელი პატიმრების 61.5% იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას.;
- პატიმრის მიერ წამების ფაქტის არგამხელა - ყოფილი პატიმრების 59.5% და ამჟამინდელი პატიმრების 51% იზიარებს ამ მოსაზრებას.;

გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოკითხულთა მნიშვნელოვანმა რაოდენობამ მიუთითა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ფოტო/ვიდეო დოკუმენტირების **სხვა მიზნებზეც:** ა) ყოფილი პატიმრების 48.7% და ამჟამინდელი პატიმრების 43% მიიჩნევს, რომ ფოტო/ვიდეო დოკუმენტირების მიზანი წამებაში მონაწილეთა მიერ წამების ფაქტების საიდუმლოდ შენახვა იყო; ბ) ამჟამინდელ პატიმართა 45.2% და ყოფილ პატიმართა 39.8% იზიარებს მოსაზრებას, რომ დოკუმენტირების მთავარი მიზანი წამების ორგანიზატორებისათვის წამების დამადასტურებელი დოკუმენტის შექმნა იყო.

რესპონდენტთა შედარებით მცირე რაოდენობა (ყოფილი პატიმრების 30.3% და ამჟამინდელ პატიმართა 16.4%) მიიჩნევს, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების დოკუმენტირების მიზანი ხელისუფლების წინააღმდეგ კომპრომატების მომზადება იყო.

დეტალურად შედეგები იხ. დიაგრამაზე #25:

დიაგრამა #25

თქვენი აზრით, რა იყო წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფოტო და ვიდეო - დოკუმენტირების მიზანი?



7.1 წამების ფიზიკური მეთოდები

რესპონდენტთა მონათხრობის მიხედვით, პატიმრების მიმართ გამოყენებული ფიზიკური წამების მეთოდები შეგვიძლია 3 ჯგუფად დავყოთ:

1. ფიზიკური წამების ძალზე გავრცელებული მეთოდები: ამ ჯგუფს მიეკუთვნება მეთოდები, რომელთა გამოყენების შესახებ რესპონდენტთა უმრავლესობა (50% და მეტი) აღნიშნავს;
2. ფიზიკური წამების მეტ-ნაკლებად გავრცელებული მეთოდები: ამ ჯგუფს მიეკუთვნება მეთოდები, რომელთა გამოყენების შესახებ რესპონდენტთა სულ მცირე, მეხუთედი მიუთითებს;
3. ფიზიკური წამების ნაკლებად გავრცელებული მეთოდები: ამ ჯგუფს მიეკუთვნება მეთოდები, რომელთა გამოყენების შესახებ რესპონდენტთა მეხუთედზე ნაკლები აღნიშნავს.

ფიზიკური წამების ძალზე გავრცელებულ მეთოდებს შორის მოხვდა შემდეგი:

- ცემა მუშტებით, წიხლებით;
- სამედიცინო მომსახურების (კონსულტაცია, ოპერაცია, მედიკამენტები) არქონა/შეზღუდვა.
- პატიმრებით გადაჭედილ საკანში მოთავსება;
- ცემა რეზინის და ხის ხელჯოხებით (ე.წ. დუბინკებით);
- დარტყმა სხეულის განსაკუთრებით მტკივნეულ ნაწილებში (ხელის/ფეხის მტევნებში, ნაოპერაციებ ადგილებში და სხვ.);
- ნესტიან და წყლიან საკნებში მოთავსება;
- დარტყმა ყურების არეში, როგორც ცალმხრივი, ისე ორმხრივი ე. წ. "ტელეფონი";
- გაუსაძლისი სიცივის ან სიცხის პირობების შექმნა.

უფრო დეტალურად, მონაცემები ასეთია:

✓ გამოკითხულთა 74.3% აცხადებს, რომ მათ მიმართ გამოიყენებოდა მუშტებითა და წიხლებით ცემის მეთოდი. ამჟამინდელი პატიმრების 83% და ყოფილი პატიმრების 66% ამბობს, რომ მათ მუშტებითა და წიხლებით სცემდნენ.

✓ გამოკითხულთა 73.6% აღნიშნავს, რომ მათ არ ჰქონდათ/შეზღუდული ჰქონდათ სამედიცინო მომსახურება (კონსულტაცია, ოპერაცია, მედიკამენტები). ამ კონტექსტში ამჟამინდელი და ყოფილი პატიმრების გამოცდილება იდენტურია.

✓ გამოკითხულთა 69.1% აცხადებს, რომ მათ პატიმრებით გადაჭედილ საკნებში ათავსებდნენ. ამ თვალსაზრისითაც ყოფილი და ახლანდელი პატიმრების გამოცდილება თანხვდება ერთმანეთს.

✓ რესპონდენტთა 63% ამბობს, რომ მათ რეზინის და ხის ხელჯოხებით (ე.წ. „დუბინკებით“) სცემდნენ. ამჟამინდელი

პატიმრების 70% და ყოფილი პატიმრების 56% აცხადებს ამავეს.

✓ გამოკითხულთა 63.1% აცხადებს, რომ მათ ურტყამდნენ სხეულის განსაკუთრებით მტკივნეულ ნაწილებში (ხელის/ფეხის მტევნებში, ნაოპერაციებ ადგილებში და სხვ.); ამჟამინდელ პატიმართა 76.3% და ყოფილ პატიმართა 49.9% აცხადებს იმავეს.

✓ გამოკითხულთა 61.9% ამბობს, რომ მათ ათავსებდნენ ნესტიან და წყლიან საკნებში. ამჟამინდელ პატიმართა 65.6% და ყოფილ პატიმართა 58.2% აცხადებს, რომ მათ ნესტიან და წყლიან საკნებში ათავსებდნენ.

✓ რესპონდენტთა 50.8% ამბობს, რომ მათ მიმართ გამოიყენებოდა ყურების არეში, როგორც ცალმხრივი, ისე ორმხრივი დარტყმის მეთოდი (ე.წ. „ტელეფონი"). ამჟამინდელ პატიმართა 64.9% და ყოფილ პატიმართა 36.8% ადასტურებს ამ გამოცდილების ქონას.

✓ გამოკითხულთა 50.4% აღნიშნავს, რომ მათ ამყოფებდნენ გაუსაძლისი სიცივის ან სიცხის პირობებში ამ კონტექსტში ყოფილი და ამჯამინდელი პატიმრების გამოცდილება არ განსხვავდება ერთმანეთისგან.

უფრო დეტალურად გამოკითხვის შედეგები, რომლებიც აღწერს ფიზიკური წამების ძალზე გავრცელებულ პრაქტიკას, მოცემულია ცხრილში #12:

ცხრილი #12:ფიზიკური წამების ძალზე გავრცელებული პრაქტიკა

გამოიყენებოდა თუ არა თქვენს მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემდეგი ფიზიკური მეთოდები?		ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
ცემა მუშტებით, წიხლებით	დიახ	65.6%	83.1%	74.3%
	არა	33.8%	8.0%	20.9%
	უარი პასუხზე	0.7%	8.9%	4.8%
სამედიცინო მომსახურების (კონსულტაცია, ოპერაცია, მედიკამენტები) არქონა/შეზღუდვა	დიახ	74.0%	73.1%	73.6%
	არა	25.3%	16.1%	20.7%
	უარი პასუხზე	0.7%	10.9%	5.8%
პატიმრებით გადაქედილ საკნებში მოთავსება	დიახ	69.2%	68.9%	69.1%
	არა	30.1%	20.6%	25.4%
	უარი პასუხზე	0.7%	10.5%	5.6%
ცემა რეზინის და ხის ხელჯოხებით (ე.წ. დუბინკებით)	დიახ	55.9%	70.1%	63.0%
	არა	43.4%	20.7%	32.1%
	უარი პასუხზე	0.7%	9.2%	4.9%

ცხრილი #12 გაგრძელება

გამოიყენებოდა თუ არა თქვენს მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემდეგი ფიზიკური მეთოდები?		ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
დარტყმა სხეულის განსაკუთრებით მტკივნეულ ნაწილებში (ხელის/ ფეხის მტევნებში, ნაოპერაციებ ადგილებში და სხვ.)	დიახ	49.9%	76.3%	63.1%
	არა	49.4%	12.7%	31.1%
	უარი პასუხზე	0.7%	11.0%	5.8%
ნესტიან და წყლიან საკნებში მოთავსება	დიახ	58.2%	65.6%	61.9%
	არა	40.9%	23.7%	32.4%
	უარი პასუხზე	0.8%	10.7%	5.8%
დარტყმა ყურების არეში, როგორც ცალმხრივი, ისე ორმხრივი ე. წ. "ტელეფონი"	დიახ	36.8%	64.9%	50.8%
	არა	62.6%	24.2%	43.5%
	უარი პასუხზე	0.7%	10.9%	5.8%
გაუსაძლისი სიცივის ან სიცხის პირობების შექმნა	დიახ	51.4%	49.3%	50.4%
	არა	47.9%	39.8%	43.9%
	უარი პასუხზე	0.7%	10.9%	5.8%

ფიზიკური წამების მეტ-ნაკლებად გავრცელებული (მიუთითებს სულ მცირე მეხუთედი) მეთოდებია:

- ✓ ცემა გასაღებების დიდი ასხმის, რკინის საწოლის ფხების და მეტალის სხვა ნივთების გამოყენებით (ამჟამინდელ პატიმრებს შორის ყოველი მეორე და ყოფილ პატიმრებს შორის ყოველი მესამე ადამიანი აცხადებს, რომ მათ მიმართ გამოიყენეს ეს მეთოდი).
- ✓ სპეცრაზმის გამოყენება, როგორც დამსჯელი რაზმის - ორგანიზებული, რეგულარული ცემა მთელ საპატიმროში (ამჟამინდელ პატიმართა 44.1% და ყოფილ პატიმართა 37.3% აცხადებს, რომ ჰქონდათ ასეთი გამოცდილება).
- ✓ საკვების/სასმელი წყლის არმიწოდება (ამჟამინდელი პატიმრების 35.1% და ყოფილი პატიმრების 33.4% აცხადებს, რომ მათ მიმართ გამოიყენეს ეს მეთოდი).
- ✓ ე.წ. „ფუქსში"-1კვ.მ. გალიაში მოთავსება საათებისა და დღე-ღამის განმავლობაში (სხეულის იძულებითი პოზა) (ამჟამ-ინდელ პატიმართა 50.3% და ყოფილ პატიმართა 24.5% აცხადებს, რომ რომ მათ მიმართ გამოიყენეს ეს მეთოდი).
- ✓ თვალის კაკლებზე ხელის დაჭერა ტკივილის მიყენებისა და თვალების დათხრის იმიტაციის მიზნით (ამჟამინდელი პატიმრების 18.8% და ყოფილი პატიმრების 36.5% აცხადებს, რომ მათ მიმართ გამოიყენეს ეს მეთოდი).

უფრო დეტალურად გამოკითხვის შედეგები, რომლებიც აღწერს ფიზიკური წამების მეტ-ნაკლებად გავრცელებულ პრაქტიკას, მოცემულია ცხრილში #13:

ცხრილი #13:ფიზიკური წამების მეტ-ნაკლებად გავრცელებული პრაქტიკა

გამოიყენებოდა თუ არა თქვენს მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემდეგი ფიზიკური მეთოდები?		ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
ცემა გასაღებების დიდი ასხმის, რკინის საწოლის ფხების და მეტალის სხვა ნივთების გამოყენებით	დიახ	32.1%	49.7%	40.9%
	არა	67.2%	39.6%	53.5%
	უარი პასუხზე	0.7%	10.7%	5.7%
სპეცრაზმის გამოყენება, როგორც დამსჯელი რაზმის--ორგანიზებული,რეგულარული ცემა მთელ საპატიმროში	დიახ	37.3%	44.1%	40.7%
	არა	61.9%	44.6%	53.3%
	უარი პასუხზე	0.8%	11.2%	6.0%
საკვების/სასმელი წყლის არმიწოდება	დიახ	33.4%	35.1%	34.3%
	არა	65.6%	53.8%	59.7%
	უარი პასუხზე	1.0%	11.0%	6.0%
ე.წ. „ფუქსში“-1კვ.მ. გალიაში მოთავსება საათებისა და დღე-ღამის განმავლობაში. (სხეულის იძულებითი პოზა)	დიახ	24.5%	50.3%	37.4%
	არა	74.5%	38.5%	56.5%
	უარი პასუხზე	1.0%	11.2%	6.1%
თვალის კაკლებზე ხელის დაჭერა ტკივილის მიყენებისა და თვალების დათხრის იმიტაციის მიზნით	დიახ	18.8%	28.3%	23.5%
	არა	80.5%	59.9%	70.2%
	უარი პასუხზე	0.7%	11.9%	6.3%

ფიზიკური წამების ნაკლებად გავრცელებული (მიუთითებს მეხუთედზე ნაკლები) მეთოდებია:

- ✓ ჩამოკიდება
- ✓ ელექტროდენით წამება
- ✓ მოხრჩობა (წყალში თავით ჩაყურყუმალავება, აირწინაღის ჩამოცმა და სხვ.)
- ✓ სამედიცინო-სტომატოლოგიური წამება
- ✓ დამწვრობა (სიგარეტით, ცხელი შანთით და სხვ.)
- ✓ დაღის დასმა (ფრჩხილების დაძრობა და სხვ.)
- ✓ ფარმაკოლოგიური წამება (ნარკოტიკით ან სხვა პრეპარატით)
- ✓ ცხოველების გამოყენება (მაგ. ძაღლების მისევა)
- ✓ სექსუალური ძალადობა

უფრო დეტალურად გამოკითხვის შედეგები, რომლებიც აღწერს ფიზიკური წამების ნაკლებად გავრცელებულ პრაქტიკას, მოცემულია ცხრილში #14:

ცხრილი #14:ფიზიკური წამების ნაკლებად გავრცელებული პრაქტიკა

გამოიყენებოდა თუ არა თქვენს მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემდეგი ფიზიკური მეთოდები?		ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
ჩამოკიდება	დიახ	6.7%	17.9%	12.3%
	არა	92.5%	70.6%	81.6%
	უარი პასუხზე	0.8%	11.5%	6.2%
ელექტროდენით წამება	დიახ	7.3%	15.2%	11.3%
	არა	92.0%	73.7%	82.9%
	უარი პასუხზე	0.7%	11.0%	5.8%
მოხრჩობა (წყალში თავით ჩაყურყუმალავება, აირწინაღის ჩამოცმა და სხვ.)	დიახ	4.0%	16.1%	10.0%
	არა	95.3%	72.9%	84.2%
	უარი პასუხზე	0.7%	11.0%	5.8%
სამედიცინო-სტომატოლოგიური წამება	დიახ	4.7%	10.9%	7.8%
	არა	94.3%	77.6%	86.0%
	უარი პასუხზე	1.0%	11.5%	6.3%

ცხრილი #14 გაგრძელება

გამოიყენებოდა თუ არა თქვენს მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემდეგი ფიზიკური მეთოდები?		ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
დამწვრობა (სიგარეტით, ცხელი შანთით და სხვ.)	დიახ	2.5%	12.7%	7.6%
	არა	96.5%	75.9%	86.2%
	უარი პასუხზე	1.0%	11.4%	6.2%
ფარმაკოლოგიური წამება (ნარკოტიკით ან სხვა პრეპარატით)	დიახ	2.5%	6.4%	4.4%
	არა	97.0%	82.4%	89.7%
	უარი პასუხზე	0.5%	11.2%	5.8%
დაღის დასმა (ფრჩხილების დაძრობა და სხვ.)	დიახ	1.5%	7.0%	4.3%
	არა	98.0%	81.6%	89.8%
	უარი პასუხზე	0.5%	11.4%	5.9%
ცხოველების გამოყენება (მაგ. ძაღლების მისევა)	დიახ	2.5%	6.2%	4.3%
	არა	96.8%	82.1%	89.5%
	უარი პასუხზე	0.7%	11.7%	6.2%
სექსუალური ძალადობა	დიახ	0.8%	3.7%	2.3%
	არა	98.3%	84.6%	91.5%
	უარი პასუხზე	0.8%	11.7%	6.3%

7.2. წამების ფსიქოლოგიური მეთოდები

წამების ფიზიკური მეთოდების მსგავსად, ფსიქოლოგიური მეთოდებიც 3 ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. ფსიქოლოგიური წამების ძალზე გავრცელებული მეთოდები (რომელთა გამოყენების შესახებ რესპონდენტთა 50% და მეტი აღნიშნავს):

- სიტყვიერი შეურაცხყოფა (გამოკითხულთა 85%-მდე აცხადებს, რომ მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ამ თვალსაზრისით, ახლანდელი და ყოფილი პატიმრების გამოცდილება იდენტურია).
- საკანში ლაპარაკის აკრძალვა (რესპონდენტთა 75.3% ამბობს, რომ საკანში ლაპარაკს უკრძალავდნენ. ამ კონტექსტშიც განსხვავება მინიმალურია ამჟამინდელ (77.4%) და ყოფილ (73.5%) პატიმრებს შორის).
- რადიოს მოსმენის/პრესის გაცნობის/კითხვის აკრძალვა (რესპონდენტთა 76.6% აღნიშნავს, რომ რადიოს მოსმენას/პრესის გაცნობას/კითხვას უკრძალავდნენ (ამჟამინდელ პატიმართა 74.6% და ყოფილ პატიმართა 78.7% აცხადებს იმავეს).
- სხვა პატიმრების წამების ხმების მოსმენინება (რესპონდენტთა 68.6% მიუთითებს ამაზე; განსხვავება ყოფილ და ახლანდელ პატიმრებს შორის მინიმალურია).
- გასეირნების აკრძალვა (რესპონდენტთა 66.6% აღნიშნავს, რომ მათ უკრძალავდნენ გასეირნებას. ამჟამინდელ პატიმართა შორის იმავეს 69.4% ამბობს, ხოლო ყოფილ პატიმართა შორის - 64%).
- ძილის შეზღუდვა (გამოკითხულთა 59.1% ამბობს, რომ მათ ძილს უზღუდავდნენ. ამ თვალსაზრისითაც ახლანდელი და ყოფილი პატიმრების გამოცდილება თითქმის იდენტურია).
- ცემის, გაუპატიურების, სიკვდილით დასჯის და ა.შ. მუქარა (რესპონდენტთა 55.6% მიუთითებს ამაზე; ამჟამინდელ პატიმართა 59.2% და ყოფილ პატიმართა 52.1% ამბობს იმავეს).
- პირადი ჰიგიენის დაცვის შეზღუდვა (გამოკითხულთა 57.2% მიუთითებს ამაზე; ამჟამინდელ პატიმართა 52.3% და ყოფილ პატიმართა 62.1% ამბობს იმავეს).
- თანამშრომლობაზე იძულება (55.2% ამბობს, რომ მათ აიძულებდნენ თანამშრომლობას; ამჟამინდელ პატიმართა 59.5% და ყოფილ პატიმართა 51% აცხადებს იმავეს).

2. ფსიქოლოგიური წამების მეტ-ნაკლებად გავრცელებული მეთოდები (რომელთა გამოყენების შესახებ რესპონდენტთა, სულ მცირე, მეხუთედი მიუთითებს):

- ძილის დროს სინათლის ჩაქრობის აკრძალვა (გამოკითხულთა 46.3% მიუთითებს ამაზე; ამ თვალსაზრისით, ამჟამინდელ და ყოფილ პატიმართა გამოცდილებები იდენტურია).
- ხანგრძლივად იზოლაცია კარცერში სპეციალურ მდგომარეობაში (შიშველი, წყლისა და ტუალეტის გარეშე, ლოგინის გარეშე და სხვ.) (ამაზე გამოკითხულთა 45.1% მიუთითებს; ამჟამინდელი პატიმრების 50.8% და ყოფილი პატიმრების 39.4% აცხადებს იმავეს).
- საკანში ციხის ადმინისტრაციასთან მოთანამშრომლე პირის მხრიდან ზემოქმედება (რესპონდენტთა 42% აღნიშნავს ამას; ამჟამინდელ და ყოფილ პატიმართა გამოცდილება, ამ კონტექსტში, პრაქტიკულად არ განსხვავდება).
- სხვა პატიმრის წამებაზე დასწრება (გამოკითხულთა 47.3% აცხადებს ამის შესახებ; ამჟამინდელ პატიმართა შორის ასეთთა ხვედრითი წილი 51.7%-ია, ხოლო ყოფილ პატიმართა შორის - 43%).
- პატიმრის მიმართ დამუქრება მისი ოჯახის წევრებისთვის ზიანის მიყენების მიმართულებით (გამოკითხულთა 38.8% მიუთითებს ამაზე; ამჟამინდელ პატიმართა 37% და ყოფილ პატიმართა 40.6% აცხადებს იმავეს).
- ტუალეტით სარგებლობის შეზღუდვა (ამაზე გამოკითხულთა 27% მიუთითებს; ამჟამინდელ და ყოფილ პატიმართა გამოცდილებები, ამ თვალსაზრისით, იდენტურია).

3. ფსიქოლოგიური წამების ნაკლებად გავრცელებული მეთოდები (რომელთა გამოყენების შესახებ რესპონდენტთა მეხუთედზე ნაკლები აღნიშნავს):

- პატიმრის მიმართ მისი წამების ამსახველი დოკუმენტების სხვისთვის ჩვენებით დამუქრება (როგორც ყოფილ, ისე ამჟამინდელ პატიმართა 8%-მდე მიუთითებს ამაზე).
- წამების ამსახველი აუდიო-ვიდეო ჩანაწრების იძულებით გაცნობა (ამჟამინდელ პატიმართა 4.2% და ყოფილ პატიმართა 2.8% მითითებს ამაზე).

დეტალურად მონაცემები იხ. ცხრილში #15:

გამოიყენებოდა თუ არა თქვენს მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემდეგი ფსიქოლოგიური მეთოდები?		ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
ხანგრძლივად იზოლაცია კარცერში სპეციალურ მდგომარეობაში (შიშველი, წყლისა და ტუალეტის გარეშე, ლოგინის გარეშე და სხვ.)	დიახ	39.4%	50.8%	45.1%
	არა	59.4%	39.3%	49.4%
	უარი პასუხზე	1.2%	9.9%	5.5%
საკანში ციხის ადმინისტრაციასთან მოთანამშრომლე პირის მხრიდან ზემოქმედება	დიახ	40.9%	42.8%	41.9%
	არა	58.1%	46.8%	52.5%
	უარი პასუხზე	1.0%	10.4%	5.7%
წამების ამსახველი აუდიო-ვიდეო ჩანაწრების იძულებით გაცნობა	დიახ	2.8%	4.2%	3.5%
	არა	96%	83.6%	89.8%
	უარი პასუხზე	1.2%	12.2%	6.7%
პატიმრის მიმართ მისი წამების ამსახველი დოკუმენტების სხვისთვის ჩვენებით დამუქრება	დიახ	7.8%	7.9%	7.8%
	არა	89.7%	80.6%	85.2%
	უარი პასუხზე	2.5%	11.5%	7.0%
სხვა პატიმრის წამებაზე დასწრება	დიახ	42.9%	51.7%	47.3%
	არა	55.9%	37.8%	46.9%
	უარი პასუხზე	1.2%	10.5%	5.8%
სხვა პატიმრის წამების ხმების მოსმენინება	დიახ	66.6%	70.7%	68.6%
	არა	31.9%	19.4%	25.7%
	უარი პასუხზე	1.5%	9.9%	5.7%
პატიმრის მიმართ დამუქრება მისი ოჯახის წევრებისთვის ზიანის მიყენების მიმართულებით	დიახ	40.6%	37.0%	38.8%
	არა	57.6%	50.8%	54.2%
	უარი პასუხზე	1.8%	12.2%	7.0%
თანამშრომლობაზე იძულება	დიახ	50.9%	59.5%	55.2%
	არა	48.3%	29.8%	39.0%
	უარი პასუხზე	0.8%	10.7%	5.8%
ცემის, გაუპატიურების, სიკვდილით დასჯის და ა.შ. მუქარა	დიახ	52.1%	59.2%	55.6%
	არა	46.4%	29.1%	37.8%
	უარი პასუხზე	1.5%	11.7%	6.6%
სიტყვიერი შეურაცხყოფა	დიახ	85.4%	84.4%	84.9%
	არა	13.8%	5.7%	9.8%
	უარი პასუხზე	0.8%	9.9%	5.3%

გამოიყენებოდა თუ არა თქვენს მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემდეგი ფსიქოლოგიური მეთოდები?		ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
ტუალეტით სარგებლობის შეზღუდვა	დიახ	26.8%	27.3%	27.0%
	არა	72.0%	61.4%	66.7%
	უარი პასუხზე	1.2%	11.4%	6.3%
პირადი ჰიგიენის დაცვის შეზღუდვა	დიახ	62.1%	52.3%	57.2%
	არა	37.1%	37.1%	37.1%
	უარი პასუხზე	0.8%	10.5%	5.7%
ძილის შეზღუდვა	დიახ	58.4%	59.9%	59.1%
	არა	40.8%	30.6%	35.7%
	უარი პასუხზე	0.8%	9.5%	5.2%
გასეირნების აკრძალვა	დიახ	63.9%	69.4%	66.6%
	არა	34.8%	21.4%	28.1%
	უარი პასუხზე	1.3%	9.2%	5.3%
ძილის დროს სინათლის ჩაქრობის აკრძალვა	დიახ	46.8%	45.8%	46.3%
	არა	52.4%	43.1%	47.8%
	უარი პასუხზე	0.8%	11.0%	5.9%
საკანში ლაპარაკის აკრძალვა	დიახ	73.2%	77.4%	75.3%
	არა	26.1%	12.7%	19.4%
	უარი პასუხზე	0.7%	9.9%	5.3%
რადიოს მოსმენის/პრესის გაცნობის/კითხვის აკრძალვა	დიახ	78.7%	74.6%	76.6%
	არა	20.3%	14.7%	17.5%
	უარი პასუხზე	1.0%	10.7%	5.8%

რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (84.2%) აცხადებს, რომ პატიმრობაში ყოფნამ მათ შეუქმნა ისეთი პრობლემა/პრობლემები (სოციალური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სხვ.), რაც პატიმრობამდე არ ჰქონდათ. ამჟამინდელ პატიმართა 88.1% და ყოფილ პატიმართა 80.2% აცხადებს იმავეს (იხ. ცხრილი #16):

ცხრილი #16

შეგექმნათ რაიმე ისეთი პრობლემები (სოციალური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სხვ.), რაც პატიმრობამდე არ გქონდათ?	ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
დიახ	80.2%	88.1%	84.2%
არა	18.8%	9.5%	14.2%
უარი პასუხზე	0.2%	0.7%	0.4%
მიჭირსპასუხის გაცემა	0.8%	1.7%	1.3%

პატიმრობის ყველაზე უფრო გავრცელებულ შედეგებს შორის გამოკითხვამ გამოავლინა შემდეგი:

- გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლესობა (72%) ამბობს, რომ პატიმრობის შედეგად შეექმნა ჯანმრთელობის ისეთი პრობლემა, რომელიც ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს. ამ მხრივ, ამჟამინდელ და ყოფილ პატიმრებს შორის განსხვავება მინიმალურია.
- გამოკითხულთა 59.3% ამბობს, რომ პატიმრობის შედეგად გახდნენ დეპრესიულები/დაკარგეს აქტიური ცხოვრების ინტერესი. ლოგიკურია, რომ ამჟამინდელი პატიმრების 63% და ყოფილი პატიმრების 55.1% აცხადებს ამავეს.

პატიმრობის სხვა მნიშვნელოვან შედეგებს შორის გამოიკვეთა შემდეგი:

- რესპონდენტთა 48% აღნიშნავს, რომ მათ დაუქვეითდათ ან დაკარგეს შრომის უნარი. ამჟამინდელი პატიმრების 53.2% და ყოფილი პატიმრების 42.2% აცხადებს იმავეს.
- გამოკითხულთა 37.6% ამბობს, რომ მათ დაკარგეს ქონება. ამჟამინდელი პატიმრების 26%-მდე და ყოფილი პატიმრების უმრავლესობა, 50.6% აცხადებს იმავეს.
- გამოკითხულთა შორის ყოველი მესამე ადამიანი (32.8%) ამბობს, რომ პატიმრობაში ყოფნისას შეექმნათ ჯანმრთელობის ქრონიკული პრობლემა, რომელიც არ ექვემდებარება მკურნალობას. ამჟამინდელი და ყოფილი პატიმრების განსხვავებები, ამ თვალსაზრისით, მცირედ განსხვავდება.

- გამოკითხულთა შორის თითქმის ყოველი მესამე ადამიანი (31.7%), ასევე, ამბობს, რომ მათ უჭირთ სხვა ადამიანებთან კონტაქტი (ოჯახის წევრების ჩათვლით). ამჟამინდელი პატიმრების 36% და ყოფილი პატიმრების 26.8% აცხადებს იმავეს.
- 21.6% აცხადებს, რომ გახდა საძილე საშუალებებზე/ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე დამოკიდებული. ამჟამინდელი და ყოფილი პატიმრების განცხადებები, ამ თვალსაზრისით, იდენტურია.

პატიმრობის ნაკლებად გავრცელებულ შედეგებს მიეკუთვნება შემდეგი:

- გამოკითხულთა 14% ამბობს, რომ დაენგრათ ოჯახი; ამჟამინდელი პატიმრების 15% და ყოფილი პატიმრების 13% აცხადებს იმავეს.
- გამოკითხულთა 1.3% ღიად აცხადებს, რომ გახდა ნარკოტიკების ინტენსიური მომხმარებელი. ამჟამინდელი პატიმრების 0.9% და ყოფილი პატიმრების 1.6% აცხადებს ამავეს.
- გამოკითხულთა 4.4% ამბობს, რომ გახდა ალკოჰოლის ინტენსიური მომხმარებელი. ამჟამინდელი პატიმრების 1.3% და ყოფილი პატიმრების 8% აცხადებს ამავეს.

დეტალურად გამოკითხვის შედეგები პატიმრობის შედეგებთან დაკავშირებით იხ. ცხრილში #17:

ცხრილი #17

მოჰყვა თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი სოციალური,სამედიცინო და ფსიქოლოგიური პრობლემები პატიმრობაში თქვენს ყოფნას?		ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
შემექმნა ჯანმრთელობის ქრონიკული პრობლემა, რომელიც არ ექვემდებარება მკურნალობას	დიახ	30.5%	34.8%	32.8%
	არა	66.8%	51.2%	58.6%
	უარი პასუხზე	0.4%	0.6%	0.5%
	მიჭირსპასუხის გაცემა	2.3%	13.5%	8.2%
შემექმნა ჯანმრთელობის პრობლემა, რომელიც ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს	დიახ	69.9%	73.9%	72.0%
	არა	28.9%	18.5%	23.4%
	უარი პასუხზე		0.2%	0.1%
	მიჭირსპასუხის გაცემა	1.2%	7.4%	4.5%

ცხრილი #17 გაგრძელება

მოჰყვა თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი სოციალური,სამედიცინო და ფსიქოლოგიური პრობლემები პატიმრობაში თქვენს ყოფნას?		ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
დამენგრა ოჯახი	დიახ	13.1%	15.0%	14.1%
	არა	85.7%	73.2%	79.1%
	უარი პასუხზე	0.4%	1.8%	1.2%
	მიჭირსპასუხის გაცემა	0.8%	10.0%	5.6%
დამიქვეითდა ან დავკარგე შრომის უნარი	დიახ	42.2%	53.2%	48.0%
	არა	57.6%	34.2%	45.3%
	უარი პასუხზე		1.3%	0.7%
	მიჭირსპასუხის გაცემა	0.2%	11.3%	6.0%
მიჭირს სხვა ადამიანებთან კონტაქტი (ოჯახის წევრების ჩათვლით)	დიახ	26.8%	36.0%	31.7%
	არა	72.3%	54.2%	62.8%
	უარი პასუხზე		1.1%	0.6%
	მიჭირსპასუხის გაცემა	0.8%	8.7%	5.0%
დავკარგე ქონება	დიახ	50.6%	25.9%	37.6%
	არა	48.0%	63.8%	56.3%
	უარი პასუხზე	0.4%	1.3%	0.9%
	მიჭირსპასუხის გაცემა	1.0%	9.1%	5.2%
დავკარგე სამსახური	დიახ	51.8%	30.7%	40.7%
	არა	47.5%	59.0%	53.5%
	უარი პასუხზე	0.2%	0.9%	0.6%
	მიჭირსპასუხის გაცემა	0.4%	9.4%	5.2%

ცხრილი #17 გაგრძელება

მოჰყვა თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი სოციალური,სამედიცინო და ფსიქოლოგიური პრობლემები პატიმრობაში თქვენს ყოფნას?		ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
გავხდი ნარკოტიკების ინტენსიური მომხმარებელი	დიახ	1.6%	0.9%	1.3%
	არა	97.7%	87.1%	92.1%
	უარი პასუხზე	0.4%	1.3%	0.9%
	მიჭირსპასუხის გაცემა	0.2%	10.7%	5.7%
გავხდი ალკოჰოლის ინტენსიური მომხმარებელი	დიახ	7.8%	1.3%	4.4%
	არა	91.4%	86.9%	89.0%
	უარი პასუხზე		1.1%	0.6%
	მიჭირსპასუხის გაცემა	0.8%	10.7%	6.0%
გავხდი საძილე საშულებებზე/ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე დამოკიდებული (ვიდრე პატიმრობამდე)	დიახ	21.7%	21.4%	21.6%
	არა	77.3%	68.2%	72.5%
	უარი პასუხზე		0.9%	0.5%
	მიჭირსპასუხის გაცემა	1.0%	9.4%	5.4%
გავხდი დეპრესიული/ დავკარგე აქტიური ცხოვრების ინტერესი	დიახ	55.1%	63.0%	59.3%
	არა	44.1%	29.4%	36.3%
	უარი პასუხზე		1.1%	0.6%
	მიჭირსპასუხის გაცემა	0.8%	6.5%	3.8%

შენიშვნა: მონაცემები დათვლილია რესპონდენტთა იმ რაოდენობიდან, ვინც განაცხადა, რომ პატიმრობის შედეგად შეექმნა სხვადასხვა ხასიათის (სოციალური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური) პრობლემები.

რესპონდენტთა მონათხრობის მიხედვით, პატიმრობის შედეგად მათ **სხვადასხვა დაავადებები** განუვითარდათ:

ყველაზე უფრო ხშირად რესპონდენტები მიუთითებენ ფსიქიკურ აშლილობაზე (დეპრესია/ნევროზები და ა.შ.): შემთხვევათა 53.4%-ში გამოკითხულები აღნიშნავენ, რომ მათ განუვითარდათ ფსიქიკური აშლილობა (დეპრესია/ნერვოზები და ა.შ.). ამ თვალსაზრისით, ყოფილი და ახლანდელი პატიმრები ერთსულოვანნი არიან.

სხვა, მეტ-ნაკლებად გავრცელებულ, დაავადებებს მიეკუთვნება:

- კუჭის წყლული/სხვა კუჭ-ნაწლავის დაავადებები. შემთხვევათა 25%-ში გამოკითხულები აცხადებენ, რომ მათ განუვითარდათ კუჭ–ნაწლავის დაავადებები.
- C ჰეპატიტი. შემთხვევათა 23%-ში რესპონდენტები აცხადებენ, რომ მათ განუვითარდათ C ჰეპატიტი.
- გულ–სისხლძარღვთა დაავადებები (მანკი, გულის უკმარისობა, სარქველების დაზიანება და სხვ.). შემთხვევათა 21%-ში რესპონდენტები აცხადებენ, რომ მათ განუვითარდათ გულ–სისხლძარღვთა დაავადებები.
- ტუბერკულოზი. შემთხვევათა 16%-ში რესპონდენტები აცხადებენ, რომ მათ განუვითარდათ ტუბერკულოზი.
- სპინალური (ხერხემლის კუნთების ატროფია) დაავადებები. შემთხვევათა 12%-ში რესპონდენტები აცხადებენ, რომ მათ განუვითარდათ სპინალური დაავადებები.

დეტალურად პატიმრობის შედეგად განვითარებული დაავადებების სია იხ. დიაგრამაზე #26:

დიაგრამა #26

რა ქრონიკული ან ძნელად განკურნებადი დაავადებით დასნეულდით (ფიზიკური ან სულიერი ტრავმის ჩათვლით) სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ყოფნისას?



გამოკითხულთა 38%-მდე აღნიშნავს, რომ პატიმრობის პერიოდში არაკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას (ზოგადად, ჯანმრთელობის პრობლემებიდან გამომდინარე) უწევდნენ. რესპონდენტთა 35.8% კი ამბობს, რომ მათთვის სამედიცინო დახმარება არ გაუწევიათ. იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ კვალიფიციური სამედიცინო დახმარება გაუწიეს (ზოგადად, ჯანმრთელობის პრობლემებიდან გამომდინარე) 12.7%–ს შეადგენს. რაც შეეხება სამედიცინო დახმარებას წამებისა და არაადამიანური მოპყრობის უშუალო შედეგებთან მიმართებაში, გამოკითხულთა უმრავლესობა (54%-მდე) აცხადებს, რომ მათთვის სამედიცინო დახმარება არ გაუწევიათ. რესპონდენტთა მხოლოდ 2.4% აღნიშნავს, რომ წამების შედეგებთან მიმართებით მათ კვალიფიციური დახმარება სამედიცინო დახმარება გაუწიეს, ხოლო 15%-მდე არაკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებაზე საუბრობს. ყოფილ და ახლანდელ პატიმრებს შორის, სამედიცინო დახმარების გაწევის კონტექსტში, მსგავსი გამოცდილებაა (იხ. დიაგრამა #27):

დიაგრამა #27

პატიმრობის პერიოდში გაგიწიეს/გიწევენ თუ არა სამედიცინო მომსახურებას ?



რესპონდენტთა იმ ჯგუფმა, რომელიც აცხადებს, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კონტექსტში სამედიცინო დახმარება (კვალიფიციური ან არაკვალიფიციური) გაუწიეს (ასეთია, ჯამში, 17.1%), უპასუხეს სხვადასხვა შეკითხვაზე, რომლებიც სამედიცინო მომსახურების დეტალებს შეეხება:

- ამ ჯგუფის თითქმის ყოველი მეორე წევრი (49.3%) ამბობს, რომ მათთვის სამედიცინო დახმარება წამებისთანავე არ გაუწევიათ (ამ ჯგუფის წევრ ამჟამინდელ პატიმართა 55.4% და ყოფილ პატიმართა 43.3% აღნიშნავს იმავეს); სამედიცინო მომსახურების წამებისთანავე გაწევაზე საუბრობს მხოლოდ 23%.
- აღნიშნული ჯგუფის 23% ამბობს, რომ მათ სამედიცინო პერსონალს მათი ჯანმრთელობის დაზიანების რეალური მიზეზი დაუმალეს.
- აღნიშნული ჯგუფის უმრავლესობა (51%) ამბობს, რომ სამედიცინო დოკუმენტაციაში მათი ჯანმრთელობის დაზიანების რეალური მიზეზის გაფორმება არ მომხდარა.
- ასევე, ამ ჯგუფის რესპონდენტთა უმრავლესობა (62%) აცხადებს, რომ მათ ექიმებთან კონფიდენციალური საუბრის საშუალება არ ჰქონდათ.
- მოცემული ჯგუფის 48% აცხადებს, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის პერიოდული შემოწმება არ ხდებოდა (ჯგუდის წევრი ამჟამინდელი პატიმრების 58% და ყოფილი პატიმრების 39% აცხადებს ამავეს).
- ამ ჯგუფის უმრავლესობა (59%) აცხადებს, რომ ისინი არ ენდობოდნენ სამედიცინო პერსონალს, რომლებიც მათ სამედიცინო დახმარებას უწევდნენ.

დეტალურად გამოკითხვის შედეგები იხ. ცხრილში #18:

ცხრილი #18

შეკითხვები ეხება მხოლოდ იმას, ვისაც სამედიცინო მომსახურება გაეწია წამებისა და არაადამიანური მოპყრობის უშუალო შედეგებთან მიმართებაში (ასეთია სულ 17.1%, აქედნა კვალიფიციური სამედიცინო მოსახურების გაწევაზე საუბრობს 2.4%, ხოლო არაკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების გაწევაზე - 14.7%)		ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
გაგიწიეს თუ არა სამედიცინო მომოსახურება წამებისთანავე?	დიახ	28.8%	16.8%	22.9%
	არა	43.3%	55.4%	49.3%
	მიჭირს პ/გ	27.9%	27.7%	27.8%
დაუმალეთ თუ არა სამდიცინო პერსონალს თქვენი ჯანმრთელობის დაზიანების რეალური მიზეზი?	დიახ	26.0%	20.8%	23.4%
	არა	43.3%	50.5%	46.8%
	მიჭირს პ/გ	30.8%	28.7%	29.8%
სამედიცინო დოკუმენტაციაში მოხდა თუ არა იმის გაფორმება, თუ რის შედეგად დაზიანდა თქვენი ჯანმრთელობა?	დიახ	10.6%	4.0%	7.3%
	არა	45.2%	56.4%	50.7%
	მიჭირს პ/გ	44.2%	39.6%	42.0%
გქონდათ თუ არა საშუალება ექიმთან კონფიდენციალური საუბრის?	დიახ	12.5%	4.0%	8.3%
	არა	57.7%	67.3%	62.4%
	მიჭირს პ/გ	29.8%	28.7%	29.3%
ხდებოდა თუ არა თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება დრო და დრო?	დიახ	32.7%	11.9%	22.4%
	არა	38.5%	58.4%	48.3%
	მიჭირს პ/გ	28.8%	29.7%	29.3%
ენდობოდით თუ არა პერსონალს, ვინ სამედიცინო მომსახურებას გიწევდათ/ გიწევთ?	დიახ	10.6%	6.9%	8.8%
	არა	57.7%	59.4%	58.5%
	მიჭირს პ/გ	31.7%	33.7%	32.7%

რესპონდენტთა უმრავლესობა (ზოგჯერ, დიდი უმრავლესობაც) აცხადებს, რომ დაკავების ან პატიმრობის პერიოდში არასდროს ხვდებოდნენ:

- გაეროს/ევროსაბჭოს და სხვა საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს;
- საერთაშორისო უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს;
- საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წარმომადგენლებს;
- სახაზინო ადვოკატს;
- სახალო დამცველის ოფისის წარმომადგენელს;
- ადგილობრივი უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს.

იკვეთება, რომ ყველაზე უფრო იშვიათი შეხვედრები პატიმრებს ჰქონდათ საერთაშორისო ორგანიზაციების - როგორც სამთავრობოთაშორისი, ისე უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წარმომადგენლებთან. რესპონდენტთა საშუალოდ 90% აღნიშნავს, რომ არასოდეს შეხვედრია აღნიშნული სტრუქტურების წარმომადგენლებს. მათთან მეტ-ნაკლები სიხშირით შეხვედრებზე მაქსიმუმ 5% მიუთითებს.

ყველაზე ხშირი შეხვედრები რესპონდენტებს ჰქონდათ სასულიერო პირებთან („ხშირად“ ან „ზოგჯერ“ შეხვედრებზე მიუთითებს 56.7%) და კერძო ადვოკატებთან („ხშირად“ ან „ზოგჯერ“ შეხვედრებზე მიუთითებს 54.3%).

რაც შეეხება სახალხო დამცველის ოფისის, აგრეთვე, ადგილობრივი უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომამდგენლებს, მათთან მეტ-ნაკლები სიხშირით („ხშირად“/„ზოგჯერ“) შეხვედრებზე მიუთითებს, შესაბამისად, 15.3% და 10.4%.

სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლებთან შეხვედრების სიხშირის ტენდენციები ნარჩუნდება როგორც ყოფილი, ისე ამჟამინდელი პატიმრების ჯგუფებში (იხ. ცხრილი #19):

ცხრილი #19

ხვდებოდით თუ არა თქვენი დაკავების ან პატიმრობის პერიოდში უფლებადამცველ კერძო პირ(ებ)ს, უფლებადაცვითი რობანიზაციების (სახალხო დამცველის ოფისის და პარლამენტის ჩათვლით) წარმომადგენლებს და სასულიერო პირებს?		ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
კერძო ადვოკატი	ხშირად	30.8%	22.9%	26.9%
	ზოგჯერ	32.9%	21.7%	27.4%
	ძალზე იშვიათად	20.1%	19.1%	19.6%
	არასოდეს	16.0%	35.1%	25.5%
	უარი პასუხზე	0.2%	1.2%	0.7%
სახაზინო ადვოკატი	ხშირად	1.7%	3.0%	2.3%
	ზოგჯერ	4.2%	10.0%	7.1%
	ძალზე იშვიათად	10.6%	15.2%	12.9%
	არასოდეს	81.4%	67.1%	74.2%
	უარი პასუხზე	2.2%	4.7%	3.4%
სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი	ხშირად	5.3%	5.0%	5.2%
	ზოგჯერ	12.1%	8.0%	10.1%
	ძალზე იშვიათად	25.0%	16.9%	20.9%
	არასოდეს	57.2%	66.1%	61.6%
	უარი პასუხზე	0.3%	4.0%	2.2%
ადგილობრივი უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომამდგენელი	ხშირად	2.5%	2.0%	2.3%
	ზოგჯერ	12.0%	4.2%	8.1%
	ძალზე იშვიათად	21.6%	5.5%	13.6%
	არასოდეს	63.7%	85.5%	74.6%
	უარი პასუხზე	0.2%	2.8%	1.5%

ცხრილი #19 გაგრძელება

ხვდებოდით თუ არა თქვენი დაკავების ან პატიმრობის პერიოდში უფლებადამცველ კერძო პირ(ებ)ს, უფლებადაცვითი ორგანიზაციების (სახალხო დამცველის ოფისის და პარლამენტის ჩათვლით) წარმომადგენლებს და სასულიერო პირებს?		ყოფილი პატიმრები	ამჟამინდელი პატიმრები	სულ
საერთაშორისო უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი	ხშირად	2.2%	0.2%	1.2%
	ზოგჯერ	4.8%	2.5%	3.7%
	ძალზე იშვიათად	8.3%	3.5%	5.9%
	არასოდეს	84.5%	91.3%	87.9%
	უარი პასუხზე	0.2%	2.5%	1.3%
გაეროს/ევროსაბჭოს და სხვა საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები	ხშირად	1.5%	0.5%	1.0%
	ზოგჯერ	2.2%	0.8%	1.5%
	ძალზე იშვიათად	3.8%	2.5%	3.2%
	არასოდეს	92.0%	93.3%	92.7%
	უარი პასუხზე	0.5%	2.8%	1.7%
საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წარმომადგენლებს	ხშირად	1.7%	0.2%	0.9%
	ზოგჯერ	2.3%	1.8%	2.1%
	ძალზე იშვიათად	5.8%	4.2%	5.0%
	არასოდეს	89.9%	91.3%	90.6%
	უარი პასუხზე	0.3%	2.5%	1.4%
სასულიერო პირებს	ხშირად	30.9%	29.1%	30.0%
	ზოგჯერ	33.8%	19.6%	26.7%
	ძალზე იშვიათად	11.5%	13.2%	12.3%
	არასოდეს	23.6%	36.6%	30.1%
	უარი პასუხზე	0.2%	1.5%	0.8%

გამოკითხვა აჩვენებს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ხდებოდა შეხვედრები პატიმრებსა და სხვადასხვა უფლედამცველ პირებსა და ორგანიზაციებს შორის, პატიმართა უფრო დიდი ნაწილი (ზოგჯერ, უმრავლესობაც) არ აცნობდა მათ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ.

მაგალითად, იმ რესპონდენტთა 45%, რომელიც კერძო ადვოკატს ამა თუ იმ სიხშირით ხვდებოდა, აღნიშნავს, რომ არ აწვდიდა არანაირ ინფორმაციას ასეთი ფაქტების შესახებ (ინფორმაციას სრულად აწვდიდა ამ ჯგუფის 32%); აგრეთვე, იმ რესპონდენტთა 48%, რომლებიც სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებს ხვდებოდნენ, ამბობს, რომ მათ საერთოდ არ აცნობდა წამების ფაქტების შესახებ; ასევე იქცეოდა 54% იმათგან, ვინც ადგილობრივ უფლებადაცვით ორგანიზაციების წარმომადგენელებს ხვდებოდა. წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სრულად გამჟღავნებას სახალხო დამცველი ოფისის წარმომადგენლებთან შეხვედრებზე ახდენდა 32%, ხოლო ადგილობრივი უფლებადაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენელებთან შეხვედრებზე - 27%.

რესპონდენტებს, ასევე, ეკითხებოდნენ, თუ რატომ არ აცნობდნენ ისინი უფლებადამცველ პირებს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის იმ შემთხვევების შესახებ, რომლებიც მათ, ან მათი უშუალო თანდასწრებით, სხვებს გადახდათ. გამოკითხულთა 40.1% ამბობს, რომ მიზეზი, რის გამოც ისინი წამების ფაქტებს უფლებადამცველ პირებს ან ორგანიზაციებს არ აცნობდნენ, ვითარების გამოსწორების იმედის არქონა იყო; რესპონდენტთა 26% კი აცხადებს, რომ ამის მიზეზი იყო შიში იმისა, რომ ამისთვის უარესად დასჯიდნენ მას ან მისი ოჯახის წევრებს. აღნიშნული მიზეზები ძირითადია როგორც ყოფილი, ისე ამჟამინდელი პატიმრებისთვის (იხ. დიაგრამა #28):

დიაგრამა #28

რატომ არ აცნობდით უფლებადამცველ პირებს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ?



რესპონდენტთა სკეპტიციზმს ადასტურებს გამოკითხვის სხვა მონაცემებიც: იმ ადამიანთა 75.2%, რომლებიც აცხადებენ, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს სრულად აცნობდნენ უფლებადამცველ პირებსა და ორგანიზაციებს, აღნიშნავს, რომ ამას არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია (ამჟამინდელ პატიმართა 67.6% და ყოფილ პატიმართა 81%-მდე აღნიშნავს იმავეს). იხ. დიაგრამა #29:

დიაგრამა #29



გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლესობა (70.2%) სრულიად იზიარებს მოსაზრებას, რომ პატიმრების წამება და არაადამიანური მოპყრობა იყო მთავრობის სასჯელაღსრულებითი პოლიტიკის მიზანმიმართული ნაწილი და არა ციხის ადმინისტრაციის ან ციხეში მომუშავე ცალკეული პირების ინიციატივა (ამჟამინდელ პატიმართა 77% და ყოფილ პატიმართა 64% იზიარებს აღნიშნულს). იხ. დიაგრამა #30:

დიაგრამა #30

იზიარებთ თუ არა მოსაზრება, რომ პატიმრების წამება და არაადამიანური მოპყრობა იყო მთავრობის სასჯელაღსრულებითი პოლიტიკის მიზანმიმართული ნაწილი და არა ციხის ადმინისტრაციის ან ციხეში მომუშავე ცალკეული პირების ინიციატივა?



გამოკითხულთა უმრავლესობა (61%-მდე) აცხადებს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები აღმოიფხვრა. ამჟამინდელ პატიმართა 64% და ყოფილ პატიმართა 57.7% აცხადებს იმავეს. რესპონდენტთა 29% აცხადებს, რომ პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები შემცირდა, თუმცა არ აღმოფხვრილა (ამჟამინდელი პატიმრების 31% და ყოფილი პატიმრების 27% ამბობს იმავეს). გამოკითხულთა მხოლოდ 0.4% ამბობს, რომ პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები იმავე ინტენსივობით ხდება. გამოკითხულთა 9.3%-ს აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს (იხ. დიაგრამა #31):

დიაგრამა #31 **როგორ შეიცვალა ვითარება სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის თვალსაზრისით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ?**



პენიტენციურ სისტემაში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის თვალსაზრისით ვითარების მკვეთრად გაუმჯობესებას გამოკითხვის სხვა მონაცემებიც აჩვენებს: ყოფილ და ამჟამინდელ პატიმართა გამოკვეთილი უმრავლესობა (70-80%-ის ფარგლებში) აღნიშნავს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სხვადასხვა დაწესებულებებში (საპატიმროები, პოლიციის და უშიშროების იზოლატორები, პოლიციის სამმართველოები) პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ მათთვის ცნობილი არ არის.

ყოფილ პატიმართა 5.5% და ამჟამინდელ პატიმართა 12%-მდე აცხადებს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ერთი-ორი ფაქტის შესახებ პირადად იციან. სხვა დაწესებულებებში (პოლიციის იზოლატორები, სამმართველოები და სხვ.) ერთი-ორი ასეთი ფაქტის შესახებ ინფორმაცია ამჟამინდელი პატიმრების მაქსიმუმ 6%-ს აქვს. იმ ამჟამინდელი პატიმრების ხვედრითი წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ პირადად იციან სხვადასხვა დაწესებულებაში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ბევრი ფაქტის შესახებ, 3-4%-ს არ აქვარებს (იხ. დიაგრამა #32):

დიაგრამა #32

არის თუ არა თქვენთვის ცნობილი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კონკრეტული ფაქტები 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ?